წლის შიროქი

SHIRAKI

№51 (9.860)

31 დეკემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის! მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული!

გასული, 2018 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ეს იყო ისტორიული წელი, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა ევროპასთან, კიდევ უფრო დაგვაახლოვა იმ მიზანთან, საითკენაც საუკუნეების მანძილზე ისწრაფვოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები და ვისწრაფვით ჩვენც! მე კარგად მესმის, რომ ბევრი ადამიანი ახალ წელს გაჭირვებაში ხვდება. ვისურვებდი, რომ 2019 წელი მათთვის წინსვლისა და გაძლიერების წელი ყოფილიყოს! მე მჯერა, რომ ეს ასეც იქნება. მინდა, ამ ადამიანებს განსაკუთრებულად მივულოცო ახალი წელი.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, ახალმა პროგრამებმა, რომლებიც სოციალური მომსახურებების, ჯანდაცვისა და მოქალაქეების მიერ შერჩეული სხვა პრიორიტეტების მიმართულებებით განვახორციელეთ, საშუალება მოგვცა, ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრების დონე და პირობები, წინა წლებთან შედარებით, გაგვეუმჯობესებინა. წამოგვწყო სამომავლო პროექტები, რომელთა მეშვეობითაც, ჩვენი ქვეყანა და ქალაქები, ძალიან მალე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი იქნება.

ჩვენი მუნიციპალიტეტი უფრო საინტერესო ხდება ტურისტული თვალსაზრისითაც! ეს ყველაფერი დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე და მე მჯერა, ის თანამოქალაქეები, რომლებმაც ქვეყანა სხვადასხვა მიზეზების გამო დატოვეს, დაუბრუნდებიან მშობლიურ ქვეყანას, მშობლიურ ქალაქს.

გისურვებთ ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც ყველა თქვენი იდეის განხორციელება შესაძლებელი იქნება, სადაც ყველანი გავუფრთხილდებით არსებულს და, ამავე დროს, საკუთარი ხელით შევქმნით ჩვენს მომავალს; სადაც ყველა გავაკეთებთ ჩვენს საყვარელ საქმეს და ყველას შეგვეძლება, ჩვენი ცოდნით და გამოცდილებით ვემსახუროთ ჩვენს საყვარელ ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს. ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ვაშენებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ, 2019 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

პატივისცემით, ირაკლი შიოლაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი.

ჩემო თანამოქალაქეებო, გილოცავთ დამდეგ 2019 წელს.

დამეთანხმებით, წელს ჩვენ ყველამ ერთად ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შევძელით, ჩვენი სამშობლოსა და მშობლიური მხარისთვის. გისურვებთ, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო ბედნიერი და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისთვის, ოჯახებისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის.

ძალიან მალე ჩვენ უფლის შობასაც ვიზეიმებთ. ადამიანთა მოდგმის გამოსახსნელად განკაცებული მაცხოვრის მფარველობა არ მოგკლებოდეთ, ძვირფასო მეგობრებო. გულითადად გილოცავთ ამ ორ უდიდეს დღესასწაულს. ბარაქა, სიხარული, სიყვარული, გამრავლება და გახარება გქონოდეთ.

პატივისცემით, ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მოგესალმებით, მეგობრებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ, რომ 2019 წელი თითოეული ჩვენგანისთვის იყოს ხვავის, ბარაქის, სიკეთისა და სიხარულის მომტანი.

გასული წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტისათვის. თითოეული თქვენგანის გვერდში დგომით შევძელით და განვახორციელეთ არაერთი სასიკეთო პროექტი. ასევე, გასულ წლებთან შედარებით, დღეს უფრო ნაკლებ დედოფლისწყაროელს აწუხებს მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა და ღამით ჩაბნელებული ქუჩები, დღეს უფრო მეტ ჩვენს თანამოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს სკვერებით, საბავშვო ატრაქციონებით, დასასვენებელი პარკებით, სპორტული მოედნებითა და დარბაზებით...

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ქედების ზონის გაზიფიცირებაც, რომლის სამუშაოებიც აქტიურ ფაზაშია. ესაა, მართლაც, საშვილიშვილო პროექტი და ამაყი ვარ, რომ სწორედ ამ ხელისუფლების პირობებში ასეთი მნიშვნელობისა და მასშტაბის სამუშაოები ხორციელდება. მისი დასრულების შემდეგ მთელი დედოფლისწყარო იქნება გაზიფიცირებული და ბუნებრივი აირი ფუფუნება აღარ იქნება.

წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოციალური პაკეტის გასაუმჯობესებლად. საკრებულოსთან ერთად ჩვენ შევძელით ის, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დღეს გაცილებით მეტი ადამიანი იყენებს სოციალურ შეღავათებს, ვიდრე გასულ წლებში. 2019 წლიდან უკვე დავგეგმეთ რამდენიმე ცვლილება, რომლებსაც ეტაპობრივად განვახორციელებთ და სოციალური პროგრამა კიდევ უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გახდება.

ზრუნვა საბავშვო ბაღებზე გრძელდება და ყოველწლიურად ვაუმჯობესებთ პირობებს. ეს ეხება როგორც გარემო პირობების გაუმჯობესებას, ასევე მათ კვებას თუ აღმზრდელ-პედაგოგების შრომის ანაზღაურებას. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ კახეთის რეგიონში ვართ პირველები, რადგან ბავშვებისთვის ყველაზე საუკეთესო პირობები სწორედ ჩვენს მუნიციპალიტეტშია შექმნილი. დედოფლისწყაროს 17-ივე ბაღში შექმნილია სათანადო პირობები, ყველგან გაკეთებულია რემონტი, კეთილმოწყობილია ეზო ბავშვთა გასართობი ატრაქციონებით. ჩვენ გადავდივართ განვითარების ახალ ეტაპზე- სოფელ არხილოსკალოში, სადაც ბავშვთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ის, რომ არსებული ბაღის შენობა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს კი აკმაყოფილებდა, მაგრამ აღსაზრდელთა კონტიგენტის ზრდამ მისი პატარა ფართის გაზრდის აუცილებლობა გამოიწვია, წელს ხორციელდება ახალი ბაღის მშენებლობა, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება და ზამთრის არდადეგების შემდეგ, ბავშვები უფრო კომფორტულ გარემოში შევლენ.

ჩვენ ვზრუნავთ არა მხოლოდ ქალაქზე, არამედ თითოეულ სოფელსა და დასახლებაზე. ამიტომაც ჩვენი პროექტები ერთნაირი წარმატებით ხორციელდება ყველგან, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. გპირდებით, რომ არ გავჩერდებით, გავაკეთებთ მაქსიმუმს, რომ თითოეულმა თქვენგანმა და თქვენმა შვილებმა, ჩვენმა შვილებმა, იცხოვრონ უკეთეს ქვეყანაში, უკეთეს სოფელში, უკეთეს უბანში...

ეს წელი წარმატებული იყო დედოფლისწყაროელი სპორტსმენებისთვისაც. გვასახელეს ჩვენმა კიკბოქსინგის, ქართული ჭიდაობისა და უშუს ნაკრებებმა, მსოფლიო ჩემპიონია ლაშა ბექაურიც...

2018 წელი გამორჩეული იყო ასევე იმითაც, რომ საქართველოს მოსახლეობამ, პირდაპირი არჩევნების გზით, ბოლოჯერ აირჩია პრეზიდენტი. მეამაყება, რომ დედოფლისწყაროელებმა ორივე ტურში ღირსეული და ქვეყნისათვის სასარგებლო არჩევანი გააკეთეს. კიდევ ერთხელ მადლობა თქვენ ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის. ჩვენს პირველ ქალ პრეზიდენტს კი წარმატებებს ვუსურვებ. მჯერა, რომ მისი დიპლომატიური გამოცდილება და გავლენები დიდ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის წინსვლაში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, იმედების გამართლების, ოცნებების ახდენისა და გახარების წელი ყოფილიყოს დამდეგი 2019 წელი.

პატივისცემით, ნიკოლოზ ჯანიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**



ქრისტეს მიერ საყვარელნო სულიერნო შვილნო, კურთხეული ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიისა და სრულიად საქართველოსა. გულითადად მოგილოცავთ ქრისტესშობის დღესასწაულსა და ახალ წელს!.. დაე, მშვიდობის, სიხარულისა და დადებითი სიახლეების მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი. უფალმა მოგვმადლოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და დედა ეკლესიის გაძლიერება. ვისურვებდი, ქიზიყში დაწყებულიყოს დიდი სამონასტრო აღმშენებლობა და სულიერი გამოღვიძება, რომ მრევლი დედა ეკლესიას დაუბრუნდეს და ურთიერთპატივისცემა იყოს. აკურთხე უფალო გვირგვინი ამის წელიწადისა. ამინ!

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი
დიმიტრი (კაპანაძე)

წლის სპორტსმენები

ლაშა ბექაური ლევან წიკლაური

გვ. 8

დედოფლისწყარო – ციფრებში

ახალშობილი – 183
ტურისტი – 12 404
ხანძარი – 269

გვ. 3

2018 წელი საქართველოში პოლიტიკური მოვლენების სიმრავლითა და საზოგადოებრივი პროტესტის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. წელს ტატუნაშვილის სიკვდილმა კიდევ უფრო ნათლად დაანახა საზოგადოებას ოკუპაციის სიმძიმე. სექსუალურ შევიწროებაზე ქალები ხმამაღლა ალაპარაკდნენ, წელს იხილა ქართულმა საზოგადოებამ ბიძინა ივანიშვილის „დიდი დაბრუნება პოლიტიკაში“. არც გაზაფხული ყოფილა მსუბუქი. „კლუბების დარბევისა“ და ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის განაჩენის შემდეგ ქვეყანაში პროტესტის ტალღა წლის ბოლომდე გაგრძელდა.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ქვეყნის მთავარ მოვლენებს.

საკმაოდ მძიმედ დაიწყო 2018 წელი საქართველოსთვის. არჩილ ტატუნაშვილი 22 თებერვალს ცხინვალის ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მისი ცხედარი ოკუპირებული ტერიტორიიდან, გარდაცვალებიდან 26 დღეში, 20 მარტს გადმოასვენეს. ტატუნაშვილის ცხედრის საქართველოში გადმოსვენების მოთხოვნით, მოკლულის ნათესავებმა აქცია გამართეს. მათ პროტესტის ნიშნად ქვეყნის მთავარი მაგისტრალი გადაკეტეს.

ოსური მხარე კი ბრალს გარდაცვლილს სდებდა და აცხადებდა, რომ მან იზოლატორში გადაყვანისას პოლიციელისთვის იარაღის წართმევა სცადა, კიბეებზე წაიქცა და მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, არჩილ ტატუნაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები შეაფასეს, როგორც „სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის, რასაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი“. ამასთან ექსპერტიზით გაირკვა ისიც, რომ საქართველოში გადმოსვენების შემდეგ არჩილ ტატუნაშვილის გვამს შინაგანი ორგანოები, მათ შორის გული და, ასევე, თავის ტვინი ამოცლილი ჰქონდა.

ექსპერტიზის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმის წარმოება წამების კვალიფიკაციით შეცვალა. საქართველოს პარლამენტში მომზადდა რეზოლუცია ოთხოზორია-ტატუნაშვილის საქმის შესახებ. რეზოლუციაში შეტანილი იყო იმ ადამიანების გვარები, რომელთა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებები უხეშად დაარღვიეს.

თუმცა, ამ რეზოლუციის მიუხედავად, მცოცავი ოკუპაცია კვლავ ძალაში რჩება, მის შემაფერხებლად კი სამოქალაქო აქტივისტები გვევლინებიან, რომლებიც ატოცში საპროტესტო აქციებითა და შიშველი ხელებით „ებრძვიან“ შეიარაღებულ რუს მესაზღვრეებსა და მავთულხლართებს...

2018 წელს პომპეზურად აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი. როგორც პოეტმა დავით მაღრაძემ აღნიშნა, „1918-1921 წლების დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მნიშვნელობა უდიდესია. დღევანდელი ჩვენი დამოუკიდებლობა, რომელიც მოვიპოვეთ დიპლომატიით, ბრძოლით, გაუტეხლობით, სიბრძნით, თავდადებით, დიდწილად იმ 1918-1921 წლების დამოუკიდებლობაზე დგას.გვახსოვდეს, ევროპა თანაცხოვრების კულტურაა. ეს არის დასავლური ყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი. ეს თუ კარგად არ გავიაზრეთ, თუ არ მოვისმინეთ განსხვავებული აზრი, ევროპა გაღმა დაგვრჩება და ჩვენ გამოღმა დავრჩებით. არადა, ჩვენი ისტორია სულ სხვა რამეზე მეტყველებს. დღესაც თავი მოგვწონს, რომ თბილისის ერთ უბანშია თავმოყრილი ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა... ეტყობა, არა ვართ გულწრფელი ამ თავმოწონებაში, რადგან რეალურად სულ სხვანაირად ვიქცევით“. ნამდვილად დასაფიქრებელი სიტყვებია, და ეს მაშინ, როცა ასე ვესწრაფვით ევროპასთან ინტეგრაციას.

2018 წელი შევა ისტორიაში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობითაც. წელს საქართველო სულ სხვანაირი გაიცნეს ევროპელებმა-როგორც განათლებული, კულტურული და ნიჭიერი ხალხის სამშობლო... “ანბანით მოთხრობილი საქართველო” – ამ კონცეფციით ოქტომბერში ფრანკფურტში წიგნის ბაზრობა გაიხსნა, რომელშიც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა. კონცეფცია, ერთი მხრივ, უნიკალურ ქართულ ანბანსა და დამწერლობას, მეორე მხრივ, კი ქართულ ხასიათებსა და პერსონაჟებს ეფუძნებოდა.

წიგნის ბაზრობაზე ქართული ლიტერატურა 188 გერმანულენოვანი თარგმანით წარსდგა. 20-მდე სცენაზე, ათობით ლიტერატურულ და კულტურულ სივრცეში ქართველი ავტორებისა და არტისტების სხვადასხვა შინაარსისა და თემატიკის ასობით ღონისძიება გაიმართა.

წელს ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი აღმოჩნდა მარიხუანის ლეგალიზებისა და მისი კულტივირების საკითხი. ეს იმ ფონზე, როცა ქვეყანამ მიიღო კანონი თამბაქოს მოხმარების კონტროლის თაობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებიდან მოკლე ხანში ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება კანაფის მოყვანასა და ექსპორტს გეგმავდა და ამისთვის საკანონმდებლო ინიციატივას ამზადებდა, რაც სრული ნონსენსი იყო. ამას მოჰყვა საზოგადოებისა და ეკლესიის კონსოლიდაცია და ერთიანი პროტესტი, რის შედეგადაც აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტიდან გაიწვიეს.

ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის „მეორედ მოსვლა“ იყო წლის დასაწყისისთვის მთავარი მოვლენაც და მთავარი ინტრიგაც. 5-წლიანი პაუზის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ისევ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გახდა. პარტიის ყრილობაზე მან განაცხადა, რომ დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი “ხელისუფლებაში არსებული ქვეყნის ინტერესების დამაზიანებებელი გარემოებები” იყო. ივანიშვილი პოლიტიკიდან 2013 წელს წავიდა. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერის პოსტზე ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილმა შეცვალა. მაშინ ივანიშვილმა პოსტის დატოვებას, არა პოლიტიკიდან წასვლა, არამედ უფრო რთულ და საზოგადოებისთვის საჭირო ადგილას გადასვლა უწოდა. ის ამბობდა, რომ სამოქალაქო სექტორის განვითარებისთვის, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდა, სადაც მინიმუმ 20 წლის განმავლობაში აპირებდა დარჩენას.

დაბრუნებისთანავე ივანიშვილმა გუნდში რეორგანიზაცია დაიწყო. თანამდებობა დატოვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. მისი თქმით, გუნდთან რიგ საკითხებზე შეუთანხმებლობა ჰქონდა. ბიძინა ივანიშვილმა მოგვიანებით საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ კვირიკაშვილი არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო დაისაჯა, რისი შედეგიც ქვეყნის სიღარიბე და ჭარბვალიანობა იყო.

2018 წელს ქვეყანასა და რეგიონშიც პირველად ავირჩიეთ ქალი პრეზიდენტი. უცნაური ბედი დაჰყვა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ქალ პრეზიდენტს. ხმაურიანად დაიწყო მისი წინასაარჩევნო კამპანია და ასეთივე აღმოჩნდა მისი ინაუგურაციაც.

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური უპირატესობა ოპოზიციური გაერთიანებისა და მისი კანდიდატის მხარეს იყო, თუმცა მერე “ქართულმა ოცნებამ” შეძლო შოკიდან გამოსვლა და საინფორმაციო თუ ფსიქოლოგიური უპირატესობის ხელში აღება. თუ დავაზუსტებთ, ბიძინა ივანიშვილმა შეძლო რეალობის სწორად შეფასება. ის გამრუდებული სარკე, რომელშიც ხედავდა დამახინჯებულ რეალობას, დაიმსხვრა და გადაიდგა შექმნილი ვითარების შესაბამისი ნაბიჯები, რამაც სალომე ზურაბიშვილს არჩევნები მოაგებინა. როდესაც არჩევნების დასრულებისთანავე მიხეილ სააკაშვილმა ჯარსა და სამართალდამცავებს მიმართა და დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა, ამით მან გაამართლა “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო რიტორიკა - საკაშვილი არა არჩევნებისთვის, არამედ რევოლუციისთვის ემზადებაო.

ქვეყნის ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია და სიტყვაც მრავალმხრივი და საინტერესო გამოდგა. მან რამდენჯერმე აღნიშნა, რა მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წინსვლისთვის ერის ერთიანობა და რომ ის ეცდება, იყოს ყველას პრეზიდენტი. მნიშვნელოვანი იყო ემიგრაციისადმი მიმართვა, იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ ის არის პირველი ემიგრანტების ნაკადიდან და **პირველი რესპუბლიკის მე-100 წლისთავზე მან მართლაც შეკრა წრე, რითაც კვლავ მოხდა იმ ანტიიმპერიული განწყობების დემონსტრირება, რაც ემიგრაციის პირველ ტალღას ჰქონდა და რომლის წიაღშიც გაზრდილია სალომე ზურაბიშვილი.** ის იყო კორექტული რუსეთზე საუბრისას, მაგრამ რაც სათქმელი იყო, თქვა. “ნაციონალურმა მოძრაობამ” კი გადაწყვიტა, ამის პარალელურად აქციის აქციისთვის ჩატარება და გზიდანვე დაიწყო ვითარების გამწვავება. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობისას რომ მომხდარიყო ასეთი რამ, აქციის მონაწილეები თავს დასხმოდნენ პოლიციელთა მანქანებს, ქვები დაეშინათ სამართალდამცავებისთვის, ხომ წარმოგიდგენიათ, რას იზამდა პოლიცია?! ციხეში ჩაყრას არ აკმარებდნენ. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, მისი პრეზიდენტობის ფინალი განსხვავებულია დამოუკიდებელი საქართველოს სხვა პრეზიდენტების ფინალისგან - ზოგმა ვერ ამოწურა საპრეზიდენტო ვადა, ზოგს კი ქვეყნიდან გაქცევამ მოუნია. ის არის პრეზიდენტი, რომელიც დაესწრო ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას. მან მშვიდად დაასრულა საპრეზიდენტო ვადა და გასაქცევადაც არა აქვს საქმე. მარგველაშვილმა ექსცესების გარეშე გადააბარა პრეზიდენტობა სალომე ზურაბიშვილს და ამის შემდეგ იცხოვრებს ამ ქვეყანაში ისე, რომ ქუჩაში გასვლის არ შეეშინდება.

2018 წლის ბოლოს კი ყველაზე ხმაურიანი და სიურპრიზებით აღსავსე გამოდგა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომა, რომელზე მომხდარმა პროცესებმაც საზოგადოებას გაუჩინა განცდა, რომ „ოცნების“ შიგნით დიდი განხეთქილებაა. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ეკა ბესელიას გადადგომის შემდეგ მმართველი პარტიის ძველი და ახალი სახეები ერთმანეთს უხეში განცხადებებით, კომპრომატების დაანონსებით თუ ღია და ირიბი საყვედურებით დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების მთავარი ფიგურა ეკა ბესელია იყო, ბრალდებების მთავარი ეპიცენტრი - იურიდიული კომიტეტის სხდომა, თემა კი - პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილი იმ 10-კაციანი სიის შემადგენლობა, რომლებიც უზენაეს სასამართლოში უვადოდ უნდა დაინიშნონ. სწორედ იურიდიულ კომიტეტზე დაწყებულმა ურთიერთლანძღვამ სააშკარაოზე გამოიტანა “ოცნების” შიგნით დაგროვებული ფარული დაპირისპირება და ისიც, ვინ ვის დაჯგუფებაშია. ბესელიას ბანაკში აღმოჩნდნენ გედევან ფოფხაძე, ლევან გოგიჩაიშვილი და ლევან კობერიძე, რომლებმაც ხმამაღლა განაცხადეს, რომ ბესელიას არგუმენტებს იზიარებენ და ადეიშვილის დაკვეთების შემსრულებელი მოსამართლეების უვადოდ გამწესება მიუღებელია. ბესელიასთან დაპირისპირებულ მეორე დაჯგუფებაში კი ყველაზე აქტიური სოფო კილაძე და ანრი ოხანაშვილი იყვნენ. კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემაც ირიბად გააკრიტიკა ბესელია და თქვა, რომ მისი წასვლა შიდა სამზარეულოს უკავშირდება, რაზეც მოგვიანებით ილაპარაკებს, და არამც და არამც მოსამართლეების თემას. ყველაფერი ეკა ბესელიას ხმაურიანი განცხადებით დაიწყო. მან თქვა, რომ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობას ტოვებდა, თუმცა გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ვანო ზარდიაშვილმა დაწერა განცხადება კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეობიდან წასვლაზე, რადგან „ზარდიაშვილს კომიტეტს ვერ დაუტოვებდა“.

ამ დაპირისპირებაში ოპოზიციის მხარდაჭერა ბესელიამ მოიპოვა. “პატრიოტთა ალიანსის” ლიდერმა ირმა ინაშვილმა ახალ სახეებს შეახსენა, რომ სწორედ ბესელიას, ფოფხაძისა თუ გოგიჩაიშვილის ბრძოლის გამო შეძლეს “ოცნების” იმ წევრებმა პარლამენტში მოხვედრა, რომლებიც დღეს ირაკლი კობახიძის გუნდში არიან. გარდა ამისა, ინაშვილმა განაცხადა, რომ რაც ახლა იურიდიულ კომიტეტში ხდება, ეს “შიდა გადატრიალება და პატარა რევოლუციაა”. “ევროპული საქართველოს” წევრებმა კი თქვეს, რომ “ოცნებაში” გავლენის გადანაწილებაზე დიდი ბრძოლაა. სხდომის დასრულების შემდეგ შიდა დაპირისპირებასა და ბესელიას გადადგომაზე ჟურნალისტებთან საკუთარი პოზიცია დააფიქსირა პარლამენტის თავმჯდომარემაც. ირაკლი კობახიძის თქმით, ბესელიას თანამდებობიდან წასვლა გუნდის “შიდა სამზარეულოს” უკავშირდება და პირობაც დადო, რომ მიზეზებზე მოგვიანებით ისაუბრებს. „გუნდი არის მყარი. რაც შეეხება მცირე გადაადგილებებს, როგორც მოხდა იურიდიული კომიტეტის შემთხვევაში, ასეთი მცირე გადაადგილებები შეიძლება ნებისმიერ დროს მოხდეს... ვინც თამაშობს, ზოგადად, გუნდურ თამაშს, ის იქნება გუნდის ნაწილი“...

ამ პროცესებიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2019 წელიც საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება, მაგრამ მთავარია, იყოს მშვიდობა ქვეყანაში და ლარის “მცურავმა “ კურსმა საშიში ნიშნული არ გადალახოს.

ინგა ჯიოლაშვილი

გუბერნატორი ჟურნალისტებს შეხვდა

26 დეკემბერს, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა - ირაკლი ქადაგიშვილმა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან 2018 წლის შემაჯამებელი შეხვედრა გამართა. შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, დიალოგის რეჟიმში წარიმართა. მედიის წარმომადგენლებმა მათთვის საინტერესო და აქტუალურ კითხვებზე მხარის რწმუნებულისგან ამომწურავი პასუხები მოისმინეს.

მედიასთან შეხვედრის დროს, ირაკლი ქადაგიშვილმა შეაფასა 2018 წელი, ვრცლად ისაუბრა წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე, კახეთის რეგიონში ეკონომიკის ძირითადი დარგების: სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე, სამომავლო პერსპექტივებსა და გეგმებზე.

ირაკლი ქადაგიშვილი: „2018 წელი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. განსაკუთრებით ეს ეხება საპრეზიდენტო არჩევნებს. ამ ყველაფერს თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, რაც გაითვალისწინა ხელისუფლებამ და მმართველმა გუნდმა. კახეთში ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.ეკონომიკური კუთხით ის ყველაზე მზარდი რეგიონია, თუმცა, ეს ფაქტორი მოსახლეობის კეთილგანწყობაზე პირდაპირპროპორციულად არ აისახება. გასაგებია, მოსახლეობა გაიზარდა, გაიზარდა მათი მოთხოვნებიც...ამიტომ, ვფიქრობთ, არჩეული პირების მიერ მეტი კომუნიკაციაა საჭირო“.

ირაკლი ქადაგიშვილმა ისაუბრა ჩაშლილ ტენდერებზე და ამ პრობლემის მოგვარების გზებზე. როგორც მან აღნიშნა, შეიქმნება კომპანია, რომელიც კომპეტენტური პირებით იქნება დაკომპლექტებული და უხარისხო სამუშაოების შესრულებას აღარ დაუშვებს.

„კახეთის რეგიონს 47 მილიონ ლარზე აქვს მოთხოვნა გაგზავნილი, ამას ემატება მუნიციპალიტეტების გაზრდილი ბიუჯეტებიც. ანუ, ფული არის, ახლა საუბარია ამ ფულის ეფექტურ და ხარისხიან ხარჯვაზე. ამიტომ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. ამიერიდან, კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებულ კომპანიას დაიქირავებს ყველა მუნიციპალიტეტი, რომელიც შეადგენს განსახორციელებელი სამუშაოს პროექტს და შემდეგ მის განხორციელებასაც გააკონტროლებს. ვფიქრობთ, ეს კომპანია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამუშაოების ხარისხიანად შესრულებას. მოგეხსენებათ, აქამდე დამკვეთიც მუნიციპალიტეტი იყო და ჩაბარებასაც მუნიციპალიტეტი აწარმოებდა. ამიტომ, ფული იხარჯებოდა, მაგრამ შედეგი არ დგებოდა“-განაცხადა გუბერნატორმა.

დედოფლისწყაროს ციფრებში

კიდევ ერთი წელი დასრულდა... გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ეცადა გასული წლისთვის თვალი კიდევ ერთხელ გადაევლო და მისი პლიუს-მინუსები გაეანალიზებინა. ვეცადეთ, სტატისტიკური მონაცემები ყველა სფეროდან მოგვეგროვებინა და საერთო სურათი დაგვედო.

რითი შევა 2018 წელი დედოფლისწყაროს ისტორიაში? გთავაზობთ მონაცემებს, რომლებიც ასე ერთიანად თავმოყრილი და დეტალურად დათვლილი არცერთ უწყებას არ აქვს.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკის სამშობიარო განყოფილებაში 2018 წელს 73 ახალშობილი დაიბადა. როგორც კლინიკის მთავარი ექიმი ხათუნა აგლაძე აცხადებს, 60 მშობიარობა და 13 საკეისრო კვეთა დაფიქსირდა. ეს სრული მაჩვენებელი არ არის, რადგან ორსულთა დიდი ნაწილი რაიონს გარეთ მშობიარობას ამჯობინებს. დედოფლისწყაროს მერიაში კი 183 ახალშობილის დაბადებაა რეგისტრირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალშობილთათვის განკუთვნილი ერთჯერადი ფულადი ჯილდო 300 ლარი 183 ახალშობილზე გაიცა.

საინტერესოა ქორწინება-განქორწინებისა და შობადობა-გარდაცვალების სრული მონაცემებიც, რომლებიც სამოქალაქო რეესტრშია აღრიცხული. თუმცა, ხელოვნური ბარიერების და ბიუროკრატიული ლაბირინთების წყალობით, ერთკვირიანი მცდელობის მიუხედავად, სამოქალაქო რეესტრიდან ეს მონაცემები კიდევ არ მოუწოდებიათ.

დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში ხანძრის 269 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 1 მსხვერპლით დასრულდა, 2 მოქალაქემ კი ტრავმა მიიღო. რაც შეეხება სამაშველო ჯგუფის გამოძახებებს — 2018 წელს დედოფლისწყაროში 68 შემთხვევაა აღრიცხული, ფიქსირდება მსხვერპლიც.

ჯანდაცვა

2018 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ზოგადად, მომატებული იყო ინფექციური დაავადებების რიცხვი: წითელა — 7; ჩუტყვავილა — 29; ქუნთრუშა — 2; დიარია — 30; ბრუცელოზი — 3; საკვებისმიერი მოშხამვა — 6; ლეიშმანიოზი — 1; ამებიაზი — 1; დიზენტერია — 26; C ჰეპატიტი — 18; ასკარიდა — 8; ენტერობიოზი — 118; ქვეწარმავლის ნაკბენი — 3; ტუბერკულოზი — 5.

2018 წელს იმატა ზედა სასუნთქი გზების ინფექციებმა. წლის განმავლობაში სულ დაფიქსირებულია 798 შემთხვევა, მათ შორის გრიპი — 32. შემოტანილი იყო 140 დოზა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, რითაც აიცრა 69 — სამედიცინო პერსონალი, 12 — C ჰეპატიტით დაავადებული, 50 — სამოც წელს გადაცილებული, 9 — ორსული.

2018 წელს დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს 400-მა ცხოველის მიერ დაკბენილმა მოქალაქემ მიმართა, რომელთაც ჩაუტარდათ ანტირაბიული მკურნალობის კურსი. მათ შორის 63 იყო კონტაქტირებული ცოფიან ცხოველთან. მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 10 ცოფის შემთხვევა ცხოველებში. მათ შორის 3 – ძაღლში, 2 – მგელში, 3 – ძროხაში, 1 – ტურაში, 1 – ღორში.

თებერვლის და ივლისის თვეში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო კვლევა C ჰეპატიტზე მარტივი სწრაფი ტესტებით. სულ გამოკვლეულია 270 მოქალაქე, მათ შორის დაავადება დაუდასტურდა 5-ს.

2018 წელს არ დაფიქსირებულა მალარიის შემთხვევები, რაც ჩატარებული საპროფილაქტიკო ღონისძიებების შედეგია. 2018 წელს სულ გამოკვლეულია 147,944 ჰა. წყალსატევი, მათ შორის ანოფილოგენური 98,5 ჰა. მალარიის გამომწვევის ნაჩეკების გასანადგურებლად დაგამბუზირდა 82,5 ჰა წყალსატევი, 80 000 მ/კვ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა კი დამუშავდა სოლფაკის ხსნარით.

2018 წელს რაიონი სისტემატურად მარაგდებოდა გეგმიური აცრების ჩასატარებელი ვაქცინებით. შედეგად 2018 წელს აცრებით მოცვის პროცენტული მაჩვენებლები ასეთია: ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია — 95%; ჰეპატიტი — 95%; როტა — 75%; პნევმოკოკი — 83%; ჰექსაქსიმი — 87%; წითელა-წითურა-ყბაყურა — 97%; დიფტერია-ტეტანუსი — 94%; პოლიომიელიტი — 80%.

სოციალური სფერო

სოციალური სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით დედოფლისწყაროში საპენსიო პაკეტის მიმღებთა რაოდენობა — 5 169; სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა – 780; საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა – 3 525; დედოფლისწყაროში რეგისტრირებულია 13 დევნილი ოჯახის სულ 36 წევრი.

წლის მოვლენა

ქედების ზონის სოფლების ცისფერი ალის შეყვანა დაიწყო. ზემო ქედი, არხილოსკალო, ქვემო ქედი, სამთაწყარო, ფიროსმანი, საბათლო და კასრისწყალი ის სოფლებია, სადაც მათი არსებობის ისტორიაში ბუნებრივი აირის შეყვანა პირველად მოხერხდა. საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ სამთაწყაროში, ფიროსმანსა და საბათლოში უკვე დაასრულა მაგისტრალის მშენებლობა. პრემიერ კვირიკაშვილის განკარგულებით დედოფლისწყაროს ამ სოფლების გაზიფიცირებას 11 მილიონი ლარი მოხმარდება. ამ სოფლებში გაზის შეყვანა 2017 წელსვე იგეგმებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ გაზის გარეშე დარჩენილ სოფლებამდე გაზის შესაყვანად მთლიანად ქვეყანაში წელიწადში 20 მლნ იხარჯება, ნახევარზე მეტს მხოლოდ დედოფლისწყაროს ვერ მოახმარდნენ. ამჯერად კი დაფინანსება 40 მილიონამდე გაიზარდა და დედოფლისწყაროც დაფინანსებაში მოხვდა.

წლის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მიერ ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში საუკუნის შემდეგ წირვის აღვლენა 2018 წლის 23 ნოემბერს პირველად მოხერხდა. მანამდე იქ დილის სრულფასოვანი წირვა არ ტარდებოდა. ჰერეთში იგეგმება სხვა ტაძრების აღდგენა-ამოქმედებაც. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან ისტორიულ ჰერეთში მდებარე ქრისტიანული ძეგლები დედოფლისწყაროს შეუერთდა და ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქია დაფუძნდა.

ნეგატიური მოვლენები

2018 წელს ნეგატიური მოვლენებიც ხდებოდა. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა დავკარგეთ. საახალწლო დღეებში მომხდარი ავტოავარიიდან რამდენიმე დღეში უშედეგო მკურნალობის შემდეგ 22 წლის გიორგი კვიწინაშვილი გარდაიცვალა. მაისის თვეში კი ქვეითად მოსიარულე, სკოლაში მიმავალი 16 წლის ნინო კიკილაშვილი მძღოლის დაუდევრობამ შეიწირა. კიდევ ერთი ახალგაზრდა ქორწილში დატრიალებულ ტრაგედიას ემსხვერპლა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მაყარში მიმავალი ავტომანქანა ბორდიურს შეეჯახა, ხევში გადავარდა და ამობრუნდა. შედეგად, 24 წლის სოსო ჯალიაშვილი დაიღუპა. გასულ წლებში უფრო დიდი მსხვერპლიც ყოფილა, თუმცა, მსხვერპლი მსხვერპლია... გაზეთ „შირაქის“ არქივის მიხედვით, ბოლო სამ წელში ავტოსაგზაო შემთხვევებს 10-ზე მეტი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა.

სასამართლო

2018 წელს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში შემოსულ და განხილულ საქმეთა სტატისტიკა —**სამოქალაქო სამართლის საქმე:** 2018 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის მდგომარეობით შემოვიდა — 186 საქმე (ნაშთი 22); დამთავრდა — 138 საქმე (მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით — 100 საქმე, წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა — 2 საქმე; დატოვებულია განუხილველად — 5 საქმე; მორიგებით დამთავდა —15);

ადმინისტრაციული სამართლის საქმე: შემოვიდა — 7 საქმე; დამთავრდა — 5 საქმე (გადაწყვეტილების გამოტანით — 3; შეწყდა — 1; განსჯადობით გადაეცა —1).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე: შემოვიდა — 150 საქმე (ნაშთი — 3); განხილულ იქნა — 152 საქმე; **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** დაეკისრა — 51 სამართალდამრღვევს; საჩივარი: შემოვიდა —1 საქმე; დამთავრდა — 1 საქმე

საზღვრის კვეთა (სამთაწყარო)

აგვისტო — 49 შემოსვლა, 47 გასვლა
სექტემბერი — 56 შემოსვლა, 57 გასვლა
ოქტომბერი — 52 შემოსვლა, 48 გასვლა
ნოემბერი — 69 შემოსვლა; 70 გასვლა

მართვის მოწმობა

იანვარი — 29 (20 კაცი, 9 ქალი)
თებერვალი — 31 (25 კაცი, 6 ქალი)
მარტი — 40 (34 კაცი, 6 ქალი)
აპრილი — 25 (10 კაცი, 15 ქალი)
მაისი — 31 (14 კაცი, 17 ქალი)
ივნისი — 26 (9 კაცი, 17 ქალი
ივლისი — 26 (19 კაცი, 7 ქალი)
სექტემბერი — 29 (16 კაცი, 13 ქალი)
ოქტომბერი — 36 (21 კაცი, 15 ქალი)
ნოემბერი – 29 (16 კაცი, 13 ქალი)

ტურიზმი

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ თუ უცხოელ ვიზიტორებს შორის. **2018 წლის განმავლობაში ვაშლოვანს 12 404 ვიზიტორი სტუმრობდა,** ყველაზე პოპულარული და დატვირთული თვე იყო მაისი. დამთვალიერებელთაგან 8 853 ქართველია, 3 551 უცხოელი; ჯამში 5 697 ქალია, 6 707 მამაკაცი. გაიზარდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შემოსავალიც, რამაც 66 000 ლარს გადააჭარბა. ამის გამო რეინჯერთა შტატები დაემატა და წელს კიდევ 7 ადგილობრივი დასაქმდა. ცნობისთვის: 2017 წლის ვიზიტორთა რაოდენობაა 11 000, ხოლო შემოსავალი 59 000 ლარი.

უცხოელი სტუმრები 2018

გერმანია — 722
პოლონეთი — 539
რუსეთი — 326
ნიდერლანდები — 286
ბელგია — 191
დანია — 131
უკრაინა — 110
ავსტრია — 109
დიდი ბრიტანეთი — 97
ბელორუსია — 88
ავსტრალია — 83
შვედეთი — 83
ჩეხეთი — 83
საფრანგეთი — 81
ლატვია — 79
იტალია — 75
აშშ — 73
შვეიცარია — 53
ლიტვა – 39
ესპანეთი – 36
ესტონეთი – 35
სლოვენია — 32
ისრაელი — 24
სლოვაკეთი — 23
კანადა — 21
ნორვეგია — 21
ისლანდია — 16
კორეა — 16
პორტუგალია — 13
აზერბაიჯანი — 11
უნგრეთი — 9
ფინეთი – 7
ირლანდია — 5
ხორვატია — 5
ლუქსემბურგი — 4
ჩინეთი — 3
ბულგარეთი — 3
მაკედონია — 3
სამხ. კორეა — 3
საბერძნეთი — 2
სინგაპური — 2
კოლუმბია — 2
ყაზახეთი — 2
ვიეტნამი — 2
ალჟირი — 1
მოლდოვა — 1
რუმინეთი — 1

აღსანიშნავია ისიც, რომ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის მიმდებარედ ტურიზმის სფეროში ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობაც. ასევე გაიზარდა საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტებისა და მაღაზიების რაოდენობა.

ევროპის განვითარების ფონდის (ENPARD), ადგილობრივი განვითარების ჯგუფის **(LAG)**, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისა და ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციის ხელშეწყობით 2018 წელს დედოფლისწყაროში დაიწყო არწივის ხეობის პროექტი, რაც გულისხმობს მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას და ამ უნიკალური ადგილის პოპულარიზაციას.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ თვითმართველობასთან, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჩართულები არიან რეგიონის განვითარების ხელშეწყობის პროექტებში, ბიოსფერული რეზერვატის დაარსებასთან დაკავშირებით შექმნილ სამოქმედო ჯგუფში, ასევე დაცული ტერიტორიებისთვის სტრატეგიული დოკუმენტების განხილვასა და შემუშავებაში. წარმატებით მიმდინარეობს ქურციკების აღდგენის პროექტი. დღესდღეობით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ 80-მდე ქურციკი ბინადრობს.

ხორნაბუჯში გოდერძი გონაშვილის საოჯახო მარანს წლის განმავლობაში 425 ვიზიტორი ეწვია.მათ შორის 40 საქართველოდან, კორეიდან – 321, რუსეთიდან – 34, უკრაინიდან კი – 30 ტურისტი.

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

„კულტურა და ხელოვნება არის მუდმივი მზადყოფნა სხვისთვის სიხარულის მისანიჭებლად“

რამდენჯერ დავფიქრებულვარ – რა პატარა სიტყვაა კულტურა და რამდენი რამის შემოქმედია: ინახავს და გადასცემს ცოდნას, ქმნის ღირებულებებსა და სიმბოლოებს, კულტურა ანვითარებს, აძლიერებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ქმნის ახალ მოთხოვნებს, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, ეხმარება ქალაქებს გახდნენ უფრო ძლიერები. ყველაფერ სხვა სიკეთესთან ერთად, ის ჩვენი ცხოვრების მაორგანიზებელ მთავარ და ფუნდამენტურ საკითხად რჩება.

ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, მუნიციპალიტეტსა თუ რეგიონში 2018 წელი საკმაოდ დატვირთული იყო. იანვრიდან დაწყებული, წლის ბოლოს, დეკემბრით დამთავრებული ვერ გაიხსენებთ თვეს, სადაც ჩვენს მუნიციპალიტეტს კულტურული ღონისძიება არ გაემართოს და არ ჰქონოდეს სულ მცირედი წარმატებაც კი.

ყველაფერი, როგორც ყველგან, შობით დაიწყო...

იყო ალილო, ბევრი გახარებული სახე და შობის ბრწყინვალე დღესასწაულისგან გამოწვეული სიხარული. ეს სიხარული ქართულმა ფოლკლორმა და მისმა წარმატებულმა წარმომადგენლებმა, გოგონათა ანსამბლმა „მანდილმა“ და ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერებისა და ქართული გალობის სკოლის მოსწავლეებმა გააგრძელეს. ორივე ანსამბლს მრავალწლიანი წარმატების გზა აქვს განვლილი და უამრავ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, სადაც ღირსეულად წარმოაჩენდნენ საკუთარ სკოლას, ანსამბლსა თუ რაიონს. გალობის სკოლამ ისტორიული გრან პრი „ოქროს დელფინი- 2018“ მოიპოვა ბათუმში, სადაც სხვა ბევრ წარმატებულ და ძლიერ ანსამბლთან ერთად, ჩვენი ახალგაზრდებიც წარსდგნენ და ღირსეული გამარჯვება მოუტანეს რაიონს. 2018 წელი განსაკუთრებით აღსანიშნავი გამოდგა ანსამბლ „მანდილისთვისაც“, რადგან მათ წელს დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა.

2018 წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, გარდა იმ მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, რასაც ის ინახავს, სხვადასხვა ღონისძიების, შემოქმედებითი თუ კულტურული საღამოების მოგონებები შემოინახა. მუზეუმმა წლის დასაწყისში გამართა ღონისძიება „დიდი ისტორია - პატარა ფინჯანში“ - საუბრები სამოვართან, სადაც ერთ ფინჯან ჩაისთან დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთი მივიწყებული ტრადიცია - ჩაის სმის კულტურა გააცოცხლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუზეუმის კვირეულთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებები - „ღამე მუზეუმში“ და ფოტოგამოფენა „ძველი და ახალი დედოფლისწყარო“. თითოეული ღონისძიება პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს მიეძღვნა. გარდა ამისა, მუზეუმმა ევროპულ დღეებსაც უმასპინძლა, სადაც აქტიურად მიმოიხილეს იმ ევროპელი მოგზაურების მიერ დანახული საქართველო და ქიზიყი, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გასულ და არამარტო გასულ საუკუნეებში სტუმრობდნენ. „ჩვენი მუზეუმი ყველა დღესასწაულს ღონისძიებით, კონფერენციებით, ლექციასემინარებით ეხმაურება. გვქონდა ექსკურსია- გაკვეთილი, „მსოფლიოს უდიდესი მუზეუმები“, სადაც სკოლის მოსწავლეებს გავაცანით მსოფლიოს უდიდესი მუზეუმების როლი. გვქონდა მწიგნობართა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, მიძღვნილი დედა უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი, და წიგნების პრეზენტაციები: ეთერ კაპანაძის „რაც გავიხსენე“ და ირმა შიოლაშვილის ახალგამოცემული ორენოვანი ქართულ-გერმანული წიგნი. გაიმართა ასევე შეხვედრა პოეტ მარინა ცხვედიაშვილთან და ქართული მხატვრობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელთან ჯემალ კუხალაშვილთან. მადლობა მუნიციპალიტეტს და კულტურის ცენტრს, რომ რაც მუზეუმში არ გაკეთებულა ამდენი წლის განმავლობაში, ამ წლებში გაკეთდა. შეგვიძინეს ინვენტარი, გაკეთდა გათბობა და ახლა ნებისმიერ დროს შეგვიძლია, რომ ღონისძიებები ჩავატაროთ“ — აღნიშნა ლალი გურასპაულმა წლის შეჯამებისას. 2018 წლის საქმიანობას აფასებს ასევე ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი, ქეთევან მჭედლიშვილი: „გამორჩეული ღონისძიებების რიგშია რუსული სკოლის ისტორიის გაცოცხლება. გავაკეთეთ ორი სტენდი, სადაც დაინტერესებულ პირებს ვაცნობდით სკოლის ისტორიას. მუზეუმების დღეს ყოველთვის გამოფენით აღვნიშნავთ. წელს ძალიან ბევრი ექსკურსია გვქონდა, გვქონდა ასევე ლექციები ძალადობისა და ბულინგის თემაზე, იმიტომ, რომ ძალიან აქტუალური თემები იყო. გვქონდა ნერგების გადარგვის აქციაც- ბავშვების მიერ მოძიებული ნერგები ჩავრგეთ მუზეუმის ეზოში. ახლა გვსურს, საბოლოო ღონისძიების სახით გამოვავლინოთ სოფლის საპატიო მოქალაქე, დასახელებული გვყავს სამი კანდიდატი, რომელსაც დავაჯილდოვებთ“.

ყოველ წელს მტკივნეულად იხსენებენ 9 აპრილს და გვირგვინით ამკობენ მემორიალს ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. არც 2018 წელი ყოფილა გამონაკლისი და ამ წელსაც ყველამ ერთად გაიხსენა ის დღე, როდესაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილი - ახალგაზრდობა, თავისუფლებისთვის იბრძოდა – შინაგანი თუ ქვეყნის თავისუფლებისთვის. 9 აპრილს ფაშიზმზე გამარჯვების 73 -ე წლისთავის აღნიშვნა მოჰყვა, იმ ადამიანების გახსენება, რომლებიც იბრძოდნენ, რომლებიც ემსხვერპლნენ ან დაიკარგნენ მეორე მსოფლიო ომში.

განსაკუთრებული დღესასწაულების სიას „პურის, ღვინისა და ფოლკლორის ფესტივალი“ აგრძელებს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ფესტივალი მუნიციპალური ბიბლიოთეკის ფოიეში დაიწყო, სადაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა ისტორიულად მიმოიხილა საქართველო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან დღემდე. ღონისძიება გაგრძელდა რუსთაველის ქუჩაზე,სადაც მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული წარსდგა ტრადიციული სუფრითა და ეთნოგრაფიული კუთხით. ფესტივალის პარალელურად გაიმართა ხელნაკეთი ნივთების, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და დედოფლისწყაროში წარმოებული პროდუქციის გამოფენა სლოგანით: ,,წარმოებულია დედოფლისწყაროში". პარალელურად მიმდინარეობდა სპორტული ღონისძიებები და ტექნიკის გამოფენა. დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები ნომინაციებში: ,,ხარისხიანი ქართული პური", ,,საუკეთესო კახური ღვინო", „საუკეთესო ეთნოგრაფიული კუთხე" და „საუკეთესო მხატვრული ნომერი". დასასრულს, გაიმართა სადღესასწაულო გალა-კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შესრულებლები.

2018 წელი საქართველოსთვის ბევრი მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნის წელია. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავი იზეიმა ჩვენმა ქვეყანამ. დროული და, ამასთანავე, სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ სწორედ წელს, ტელეეკრანებზე გამოჩნდა ფილმი „ექვთიმე ღვთისკაცი“, რომელიც საქართველოს ეროვნული საგანძურის მცველის, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებას, მოღვაწეობას, მის განვლილ გზებს, სიხარულსა და მწუხარებას აღწერს. კულტურის სახლმა სწორედ ამ ფილმის ჩვენებას უმასპინძლა. შეხვედრაზე აღინიშნა ფილმის განსაკუთრებულობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გარდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მტკივნეული ნაწილის გახსენებისა, გადაღებები სხვადასხვა ლოკაციაზე, პარიზისა და ლევილის ჩათვლით მიმდინარეობდა. შეხვედრას ფილმის რეჟისორი და მსახიობებიც ესწრებოდნენ.

წელს დედოფლისწყაროს საჯარო ბიბლიოთეკამ 80 წლის იუბილე იზეიმა. „წიგნი, მკითხველი, ბიბლიოთეკა“- ამ ღონისძიებით აღნიშნა ბიბლიოთეკამ საკუთარი იუბილე. აღინიშნა ბიბლიოთეკის ღვაწლი, დაჯილდოვეს დამსახურებული ბიბლიოთეკარები. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის პოპულარიზაციას წელს ჩვენს რაიონში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. ამის დასტურია ღონისძიება „წაიკითხე და წაკითხე სხვასაც“, რომელიც წიგნის პოპულარიზაციას და მოსწავლეებში წიგნის კითხვის კულტურის ჩამოყალიბებას ეძღვნებოდა. „ჩვენი რაიონის პირველი დამსახურება არის ის, რომ ყველა სოფელშია ბიბლიოთეკა. სულ 14 — ერთი ცენტრალური და 13 სხვა. გვაქვს საბიბლიოთეკო გაერთიანება, რაც ზოგიერთ რაიონში აღარ არსებობს. მხოლოდ 2018 წელს 815 ღონისძიება ჩავატარეთ, ამაში ითვლება სოფლებში ჩატარებული ღონისძიებებიც. ასევე გამოფენებიც, მკითხველთა კონფერენციები, ლექცია მოხსნებები.“ - შეაჯამა წელი დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა.

2013 წელს დაარსებულმა ახალგაზრდულმა თეატრმა, რომელსაც 5 წელი შეუსრულდა, ცარო მარტიაშვილის ხელმძღვანელობით წარმოგვიდგინა საიუბილეო სპექტაკლი „ ხელოვნებაა თავად უკვდავება“, კონსტანტინე გამსახურდიას გენიალური ნაწარმოების „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით. „ჩვენთვის ეს წელი ძალიან ნაყოფიერი იყო. ჩატარდა ძალიან ბევრი საინტერესო ღონისძიება. გაზაფხულის ღონისძიებები, თეატრის იუბილე, რომელიც წარმატებული იყო. ბავშვები ძალიან კარგად გამოვიდნენ. კიდევ ბევრი დაგეგმილი ღონისძიება ვერ გავაკეთეთ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. წლებია, თოჯინების თეატრის დაარსება გვინდა. ასევე გვინდოდა ცალკე გაგვეკეთებინა ლიტერატურული თეატრი და კახეთის ზონის ფოლკლორის ფესტივალი, რასაც აუცილებლად გავაკეთებთ 2019 წელს. ეს იქნება კახეთის ზონის ფოლკლორული კოლექტივების შეხვედრა თემაზე „ საზღვრისპირეთი“ - გვიზიარებს საკუთარ აზრს ცარო მარტიაშვილი, ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ხელმძღვანელი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მოვლენაც, რომელიც უკვე ტრადიციად და დედოფლისწყაროს სავიზიტო ბარათადაც იქცა. „დედოფლისწყაროობა“, ელიაობის დღესასწაულთან ერთად, კვლავაც გამორჩეული აღმოჩნდა დედოფლისწყაროელებისთვის. საზეიმო გალა-კონცერტზე, საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენასთან ერთად, ის წარმატებული ადამიანებიც დააჯილდოვეს, რომლებიც საკუთარ რაიონს წარმოაჩენენ მის ფარგლებს გარეთ. „ნომინაციაში -,,წარმატებული დედოფლისწყაროელი", დასახელდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მედალოსნები.

კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, ჯულიარდის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა, ცნობილმა ახალგაზრდა პიანისტმა დავით ალადაშვილმა, კომპანია „მაგთისთან“ ერთად კამპანია „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ ტურნე „მოძრავი პიანინო“, სწორედ დედოფლისწყაროდან დაიწყო. დიდი ზომის წითელმა მანქანამ, რომელიც შერჩეულ ადგილას სცენად ტრანსფორმირდებოდა, ღია ცის ქვეშ ყველა დაინტერესებულ მსმენელთან და რიგით გამვლელთან მიიტანა კლასიკური მუსიკა, ცოცხალი ემოციები და შეგრძნებები.

ვფიქრობ, 2018 წელი, სხვა ყველაფერთან ერთად, დიდი პერსონების წელიც იყო. ამ პერსონებს შორის, ჩვენთვის, დედოფლისწყაროელებისთვის, განსაკუთრებით აღსანიშნავი ნიკო ფიროსმანაშვილია, რომლის გარდაცვალებიდანაც წელს 100 წელი გავიდა. თითქოს სიმბოლური იყო, რომ სწორედ ამ წელს აღადგინეს მირზაანში ნიკალას ბიძაშვილების სახლიც. სახალხო ზეიმ „ფიროსმანობის“ აღსანიშნავ ღონისძიებათა შორის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და უკვე ტრადიციად ქცეული გამოფენაც იყო, სახელწოდებით „შეხვედრა ფიროსმანთან - ფიროსმანის მაგიდა“, რომელსაც 2006 წლიდან საქართველო და გერმანია ერთობლივად, ორ წელიწადში ერთხელ ახორციელებენ. 27 ხელოვანმა 70 ნამუშევრით მირზაანიდან თბილისში გადაიანაცვლა, სადაც ყველა ინდივიდუალური ნამუშევრით იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ პროექტის მონაწილეთა ნამუშევრები, ნიკო ფიროსმანაშვილის ტილოების ორიგინალებთან ერთად გამოიფინა. თუკი იკითხავთ, რატომ არის ეს მოვლენა მნიშვნელოვანი, გეტყვით, რომ ფიროსმანი საქართველოს სავიზიტო ბარათია. ფიროსმანი ის მიწა და ნიადაგია, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა კულტურამ ერთიანად იჩინა თავი.

საქართველოს სავიზიტო ბარათი მისი უნიკალური ლიტერატურაცაა. თავისუფლად შემიძლია იმის თქმა, რომ 2018 წლის მთავარი მოვლენა სწორედ ქართული ლიტერატურის გერმანიაში, კერძოდ ფრანკფურტში, წიგნის ფესტივალზე გატანა და აღიარებაა. აღიარება სწორი სიტყვაა, რადგან იყო წარმოდგენილი ერთი კვირის განმავლობაში ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქში, როგორც საპატიო სტუმარი, გააცნოს შენი ქვეყნის ანბანი, კულტურა და ლიტერატურა უცხო ქვეყანამ კიდევ უფრო უცხო მკითხველს, ეს აღიარებაზე მეტიც კია. საქართველოსთვის ეს იყო ერთგვარი პლატფორმა, საიდანაც მთელს მსოფლიოს აჩვენა, მიმართა და მიუთითა, რომ პატარა ერს იმაზე დიდი წარსული, კულტურა და ისტორია აქვს, ვიდრე ჩანს. დიახ, ეს იყო პლატფორმა, სადაც კიდევ ერთხელ, თანაც ხმამაღლა ვთქვით, რომ რუსეთი ოკუპანტია და ის გვართმევს ყველაზე ძვირფასს, რაც კი გვაქვს - მინას. ქართული ლიტერატურის უცხოენოვანი თარგმანების პრეზენტაციები, შეხვედრები ქართველ მწერლებთან, დისკუსიები ლიტერატურულ ტექსტებზე, პროცესებზე, საჯარო კითხვა და სხვა სახის ღონისძიებები ის მცირე ჩამონათვალია, რაც უკვე სამომავლოდ ხელს შეუწყობს ქართველი ავტორების, მათი შემოქმედების და, ზოგადად, ქვეყნის ადგილის დამკვიდრებას თანამედროვე მსოფლიოს კულტურულ რუკაზე.

თვითმოქმედი კოლექტივებისა და ფოლკლორული ანსამბლების საქველმოქმედო კონცერტები, გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა რაიონებში, პოეზიისა თუ მუსიკის საღამოები, სპექტაკლები, წიგნის პრეზენტაციები და თარგმანები, ფესტივალები, დაჯილდოებები თუ ჯილდოები, საიუბილეო საღამოები... ამ სიას უსასრულოდ შეუძლია გაგრძელება. ერთი წელი ძალიან დიდი დროა, იმისთვის, რომ შრომა გასწიო, წლის ბოლოს კი შენი შრომა შენთან ერთად გარშემომყოფებმაც შეაფასონ და უკეთესის მოლოდინში დაიწყო ახალი წელი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი დედოფლისწყაროელებს მუდმივად ანებივრებს ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით, ცდილობს, ყოველი წელი კიდევ უფრო მეტი და მეტი ჩატარებული ღონისძიებით გააცილოს. განვლილი წლის შეფასება სწორედ იმ **ცენტრის დირექტორს,** ნონა ჯიბლაძვილს ვთხოვეთ, რომელიც ყოველ წამოწყებასა თუ იდეას გვერდში უდგას და მხარს უმაგრებს: „ჩვენ კმაყოფილები ვართ ამ წელს ჩვენი მუშაობით. განსაკუთრებით კმაყოფილები ვართ იმით, რომ თითოეულ ღონისძიებაში სოფლებიც გვყავს ჩართული და ყველა სოფელი მოქმედებაშია. არამარტო ჩვენთან, სოფლებშიც, ბიბლიოთეკებშიც, მუზეუმებშიც, არც ერთი თვე არ იყო ისე, რომ არ ჩატარებულიყო ღონისძიება. გვქონდა საუკეთესო, გრანდიოზული პირველი ივნისის ღონისძიება, კულტურის სახლის წინ, სადაც მთელი რაიონი მონაწილეობდა. 26 მაისის ღონისძიება, ჭაჭის ფესტივალი, შემდეგ ფიროსმანობა. „რა, სად, როდის?“, მსოფლიო ფინალი, დიდებული ღონისძიება, ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში, რომელშიც მონაწილეობდა 27 გუნდი მთელი მსოფლიოდან. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველა ღონისძიება გამორჩეულია, მაგრამ ჭაჭის ფესტივალი განსაკუთრებით მინდა გამოვყო. ფესტივალზე დაიბრენდა ჭაჭა, ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ჩვენი რაიონისთვის, რადგან კახეთის რეგიონში მხოლოდ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა აიღო ორი ჯილდო - სიგელი,როგორც ფესტივალზე ყველაზე კრეატიული და გამორჩეული და მეორე-ნომინაციაში „საუკეთესო კუთხე", მიენიჭა ლაურეატის წოდება. არცერთ სხვა რაიონს მსგავსი ჯილდო არ აუღია. გვქონდა ძალიან კარგი კინოჩვენებები, რომლებიც პროგრამაში არ გვქონდა, მაგრამ ჩვენ ჩამოვიტანეთ. გეგმაში ძალიან ბევრი რამ გვაქვს. გვინდა, რომ სოფლები გაცოცხლდეს. დამატებით მინდა გითხრათ, რომ თეატრს ფარდა და წერტილოვანი განათება სჭირდება. 60 წლის ფარდაა, რომელიც უკვე ამორტიზებულია. ცუდ მდგომარეობაშია მთლიანი სცენაც და მის ფონზე იკარგება ღონისძიება. თუ ჩვენი ხელმძღვანელობა, როგორც დღემდე გვედგა მხარში, ისევე დაგვიდგება, ჩვენ ვპირდებით, რომ უფრო მეტი შემართებითა და იდეით გავმართავთ საინტერესო ღონისძიებებს“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ნონა ჯიბლაშვილმა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულტურა ნებისმიერი ერის თვითმყოფადობის გამოხატვის ის ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ უცხო თვალს შეუძლია მისი წეს-ჩვეულებები, აღიარებული ნორმები და ღირებულებათა სისტემა უკეთ გაიცნოს. ღირებულებები, რომლებიც ამ ერის ცხოვრების წესის ფორმირებას ახდენენ. ამიტომაც, მადლობა ვუთხრათ 2018 წელს და ყველას ახალი 2019 წლის ფორმირება ახალი იდეებით, ენერგიითა და შემართებით ვუსურვოთ!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე გამართლებულია

განათლების სისტემის ფუნქციონირების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღება აუცილებელია ჩვენი საზოგადოებისთვის და მუნიციპალიტეტში ის ყოველწლიურად ხორციელდება თითოეული საჯარო სკოლის მიხედვით, ყოველი წლის დასასრულს, მოსწავლეთა საგანმანათლებლო შედეგების მონიტორინგის სახით, რათა მოხდეს ზოგადი განათლების ხარისხის და განვითარების ზოგადი ტენდენციების შეფასება მოსახლეობის და დაინტერესებულ პირთა მიერ. გვესაუბრება დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი, ქალბატონი ეთერ დავითაშვილი:

- 2018 წელი წარმატებული იყო ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო სისტემაში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში ხდებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს პოლიტიკის განხორციელება და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების განვითარება.

მოგეხსენებათ, რომ რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 საჯარო სკოლა, მუშაობს 426 პედაგოგი და სწავლობს 2476 მოსწავლე. წელს საჯარო სკოლის 37-მა მოსწავლემ მიიღო მედალი, მათ შორის 25- ოქრო და 12-ვერცხლი; აბიტურიენტად დარეგისტრირებული იყო 136 მოსწავლე, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 124 აბიტურიენტი, სახელმწიფო გრანტი მოიპოვა 40-მა, მათ შორის: 100%-იანი დაფინანსებით -4-მა, 70%-იანი-14-მა, 50%-იანი-23-მა; 38-მა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა 72-ე სასწავლო – შემოქმედებით კონფერენციაში, მათგან დიპლომი მიიღო 5-მა მოსწავლემ, სიგელი-11-მა , მადლობა -10-მა მასწავლებელმა; 2018 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტურში მონაწილეობა მიიღო 275-მა მოსწავლემ, ხოლო II ტურში გადავიდა -45 მოსწავლე; საბაზო საფეხურის 22 წარჩინებულ კურსდამთავრებულს გადაეცა პორტატული კომპიუტერი; რაიონის მასშტაბით 40-მა პედაგოგმა აიმაღლა სტატუსი და გახდა უფროსი მასწავლებელი, ხოლო ერთი – წამყვანი პედაგოგი; სამი სკოლა (დედოფლისწყაროს №1, არბოშიკისა და არხილოსკალოს) მონაწილეობდა კონფერენციაში „ჩვენ ბუკელები ვართ“ და მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები. უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული იდეის“ მიერ დაფინანსდა 3 საგრანტო კონკურსი

ა) „ქიმიური ფესტივალი“-500 ლარი;

ბ) „გეოგრაფიის კაბინეტის აღჭურვილობა“ - 520 ლარი;

გ) „გავაცოცხლოთ ისტორია“ - 400 ლარი;

№1 საჯარო სკოლის „ინტელექტუალთა გუნდმა“ ინტელექტის დღესთან დაკავშირებით გამართულ კონკურსში გაიმარჯვა და 1-ლი ადგილი დაიკავა მუნიციპალიტეტის სკოლების გუნდებს შორის და მონაწილეობა მიიღო თბილისში გამართულ ფინალურ ტურში. მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეთა შორის „ეტალონის“ გამარჯვებული გახდა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე მადინა ღანიშაშვილი. ჩატარდა ინფრასტრუქტურული სამუშაობი და მთლიანად შეიცვალა გათბობის სისტემა.

სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლამ მოიგო ორი საგრანტო პროექტი, მოგებული თანხა შეადგენს 46175 ლარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ №2 საჯარო სკოლა პირველი იყო, რომელმაც სხვადასხვა პროექტების განხორციელებით, განათლების გარეშე დარჩენილ ბოშებს და მათ შვილებს კარი გაუღო და განათლების მიღების გარდა, საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალება მისცა აგრეთვე, გამოიყო მათი სკოლაში ტრანსპორტირებისთვის სპეციალური სასკოლო ავტუბუსიც, რომელიც დღემდე მოქმედებს. ამ დღეებში სპექტაკლმა, რომელიც სპეციალურად ამ ბავშვების მონაწილეობით დადგა ცარო მარტიაშვილმა ახალგაზრდულ თეატრ „ბერიკონთან“ ერთად, საზოგადოების წინაშე პირველი ტესტი წარმატებით ჩააბარა.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლამ მიიღო საგრანტო დაფინანსება საპირფარეშოს რეაბილიტაციისათვის და ინგლისური ენის კაბინეტის მოწყობისათვის. სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ და „ რა, სად, როდის?“; განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლის შედეგადაც აღდგა გათბობის სისტემა.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა ჩართული იყო კაჭრეთის კოლეჯ „აისის“ პროფესიული განათლების სასკოლო პროექტში „პროფესიული უნარების კურსი ფილამწყობის პროფესიაში“. მონაწილეობა მიიღი მე-8 და მე-9 კლასის 15 მოსწავლემ. კურსის წარმატებით გავლის შემდეგ მათ გადაეცათ სერთიფიკატები.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მიიღეს სერთიფიკატები პროექტში „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. განათლებისა და განვითარების ცენტრი „ცოდნის სამყარო” - მოსწავლეები ჯგუფურ კონკურსში არიან ფინალში და დაჯილდოვდნენ საგზურით ურეკის საახალწლო კარნავალში მონაწილეობის მისაღებად.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 72-ე შემოქმედებით კონფერენციაში,რომელიც ეხებოდა სოფელ არბოშიკის ბუნებრივი წყაროს წყლების კვლევას. ორი მოსწავლე, ნინო ქაჩლიშვილი და საბა ალადაშვილი, გახდა „ჩემი პირველი კომპიუტერის „ ბენეფიციარი.“ საყმაწვილო პრემია „ამირანის“ ნომინანტი გახდა მე-12 კლასის მოსწავლე ლევან კაკალაშვილი.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის შეირჩა 4 თემა, მეთორმეტე კლასელმა ნინო იაკობიშვილმა წარმატებით დაიცვა თემა - „ეროვნული ტანისამოსის ისტორია“ წარდგენილი ეთნოგრაფიის სექციაზე და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით; მიმდინარე სასწავლო წელს მსახიობმა თამარ მაყაშვილმა საჩუქრად გადასცა ოზაანის საჯარო სკოლას 3000 ლარის სპორტული ინვენტარი, ლეპტოპი და მხატვრული ლიტერატურა.

სსიპ პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის მოსწავლე ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგებით მოხვდა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ბიოლოგიაში და მიიღო შეთავაზება ექვსთვიანი სწავლებისა ირანში. სკოლის სამოქალაქო კლუბმა „მზის სხივი“ მოიგო პროექტი და სკოლას მოუტანა ახალი პროექტორი.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში „სამოქალაქო განათლება“ – პარლამენტი შენი მეგობარია; „ნაბიჯი თანადგომისაკენ“; „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“; ეტალონი; კინგსისა და ევერესტის ოლიმპიადა;

მონაწილეობა მიიღეს ასევე პროექტებში - „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამა- „სპორტი/ჯანსაღი ცხოვრების წესი“ -კულტურა/ხელოვნება/თეატრი სკოლაში.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში სამინისტროს მიერ„ სასკოლო აქტივობების ქვეპროგრამის ‘’ ფარგლებში დაფინანსდა 1 პროექტი „ მუსიკა ჩვენს ცხოვრებაში“ და 1 წრე-„ თეატრი სკოლაში“; მოსწავლეთა 72-ე კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 3-მა მოსწავლემ ფოლკლორის სექციაში და ფულადი პრიზი გადაეცა 1 მოსწავლეს- გიორგი უგუნურაშვილს (მასწავლებელი დალი ლეკაშვილი-ჩოხელი). ლიკა და ელენე ბუჩუკურებმა მიიღეს მონაწილეობა „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე ანიმაციური ვიდეო რგოლების კონკურსში - „გაცოცხლებული სურათები“. 2002-2003 წელს დაბადებული ვაჟები „კოკა-კოლას‘’ ჩემპიონატში გადავიდნენ მეორე ტურში;

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლაში მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული არქივის მიერ განხორციელებულ პროექტში თემაზე „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ და დაიმსახურეს სიგელები.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლაში პედაგოგ მერი ხარაშვილის ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მასწავლებელთა ასოციაციის მიერ შემოთავაზებულ პროექტში „ფსოუზე არეკლილ ვარსკვლავებად.“ პროექტი წარმატებით განხორციელდა, პედაგოგი და მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით; სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში სკოლის მოსწავლე ვაჟთა და გოგონათა გუნდმა კახეთის პირველობაზე ჩატარებულ შეჯიბრში მაგიდის ჩოგბურთში დაიკავეს II, ხოლო მინიფეხბურთში - III ადგილი და დაიმსახურეს თასი და სიგელები;

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლაში მოსწავლე გოგონათა ფეხბურთის გუნდმა მონაწილეობა მიიღო კახეთის რეგიონულ ჩემპიონატზე ფეხბურთში, მოიპოვეს გამარჯვება და პირველ ადგილზე გავიდნენ, საჩუქრად გადაეცათ მედლები, თასი და შვიდდღიანი დასასვენებელი საგზური ანაკლიაში. წარმატებით იასპარეზა სკოლის მოსწავლეთა გუნდმა გეზრბენში, აიღო რაიონული პირველი ადგილი და მოიპოვა უფლება, მონაწილეობა მიიღოს კახეთის რეგიონულ ჩემპიონატში, რომელიც გაზაფხულზე გაიმართება. სკოლის ორი წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა საგზურით, საბაზო საფეხურის მეშვიდეკლასელი – ლინდა ცეცხლაძე გაემგზავრა “მანავის ბანაკში”, ხოლო საშუალო საფეხურის მეათეკლასელი – მირანდა სურმანიძე გაემგზავრა “ანაკლიის მომავლის ბანაკში”.

მინდა, დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო სრულიად საქართველოს, დედოფლისწყაროს, დიდი სითბოთი და სიყვარულით საჯარო სკოლების ადმინისტრაციებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და ვუსურვო წარმატებები, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში. უფალმა არ მოგაკლოთ სითბო, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიყვარული.

ესაუბრა ელზა ხარაშვილი

ვიზრუნოთ ერთმანეთზე...

25 დეკემბერს კიდევ ერთ ულამაზეს და საინტერესო ღონისძიებას ვესწრებოდით N1 საჯარო სკოლაში. I^ კლასის დამრიგებელი მარინა ინასარიძე გახლდათ ჩვენი მასპინძელი პროექტით „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“.

-„ტკბილო პაპა-ბებიებო, ჩემო მშობლებო და ბავშვებო, მოგეხსენებათ, დღევანდელობა, 21-ე საუკუნე, კომპიუტერი, აიფონი, ტელეფონი...და სულ თითქოს ერთმანეთში დაიკარგა ის ლამაზი და თბილი სიტყვიერი ურთიერთობები; იყო მშობლებიდან სხვადასხვა საკითხზე მომართვიანობა და ჩემს თავს ვუთხარი:სხვისი ტკივილი შენებურად თუ არ შეიგრძენი და სხვისი დარდი სიხარულით არ შეცვალე, მაშ ვინ ვყოფილვარ-მეთქი და ამ ფიქრთა კორიანტელში გადავწყვიტე, თანაკლასელთა ურთიერთჰარმონიულობისთვის, მოგვემზადებინა წინასაახალწლო პროექტი „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“, მშობელთა და მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობით.

ამ მიმართვის შემდეგ დაიწყო ღონისძიება, რომელსაც ჰყავდა ჟიური. უნდა აღინიშნოს, რომ მშობლების ასეთი დოზით მონაწილეობით ღონისძიება პირველად ვნახე, რომელმაც ყველას აღფრთოვანება გამოიწვია. სამ ჯგუფად იყო დაყოფილი კლასი :“ალილო“, „გოზინაყი“ და „მეკვლე“. სამივე, მშობლებთან ერთად საინტერესო ნომრებს დგამდნენ მაყურებლის წინაშე. პროექტის დასასრულს მშობლებს დაურიგდათ კითხვარები:1. რა სირთულეს შეხვდნენ პროექტის „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ მომზადების პროცესში. 2. როგორ ურთიერთობდა თქვენი შვილი თანაკლასელებთან ან მათ მშობლებთან? 3.აქვს თუ არა რომელიმე ბავშვს პრობლემა ქცევასთან(მორცხვობა, სიჯიუტე, დაცინვა)დაკავშირებით, თუ იყო ასეთი შემთხვევა და როგორ შევძლოთ ჩვენ ერთად მასში ამ ქცევის აღმოფხვრა? 4. რა შეცვალა ამ პროექტმა თქვენს შვილში?

მშობლებმა ჯგუფების მიხედვით სხვადასხვა სახის, მაგრამ თითქმის ერთნაირი შინაარსის პასუხები წარმოადგინეს. პროექტის მსვლელობისას ძირითადი სირთულე მშობლების თავისუფალი დროის თანხვედრაში მდგომარეობდა, ასევე მოსწავლეებისაც, სხვადასხვა წრეებზე სიარულის გამო, თუმცა, ერთმანეთს ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, მათი ურთიერთობა ლაღი და ბავშვური იყო, უსმენდნენ და უჯერებდნენ უფროსებს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები არა თავის, არამედ ერთმანეთის მშობლებთან ერთად მონაწილეობდნენ ამ პროექტში. (რაც მე, პირადად, ყველაზე მეტად მომეწონა ამ ღონისძიებაზე). მათ არათუ არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ ამ პროექტზე მუშაობისას, არამედ, დასასრულს, აღმოაჩინეს, რომ უფრო მეტად დაახლოვდნენ, გაიცნეს ერთმანეთი უკეთესად, დამეგობრდნენ, აუმაღლდათ პასუხისმგებლობის ნიშნული და ზეიმის დასასრულს, ყველა ერთად კმაყოფილი და უბედნიერესი იყო. ისინი მღეროდნენ, ცეკვავდნენ ერთმანეთის დედიკოებთან ერთად, დარბაზში მსხდომი მამიკოები და ბებოები კი გაბრწყინებულები უყურებდნენ მათ. ეს ყველაფერი ერთობლიობაში ძალიან დადებითად და იმედისმომცემად აისახებოდა დამსწრე საზოგადოებაზეც.

ჟიურიმ, რომელსაც სკოლის დირექტორი ეთერ ოთარაშვილი ხელმძღვანელობდა, ვერ დაფარა აღფრთოვანება ამ პროექტის მიმართ, სიგელებით დააჯილდოვა თითოეული მონაწილე დედა - შვილი და დამდეგი შობა ახალი წელი მიულოცა ყველას.

ელზა ხარაშვილი

„ძალიან შრომატევადია, მაგრამ — სასიამოვნო!“

ამ დღეებში, პირად საკითხთან დაკავშირებით, ქალაქის №3 საბავშვო ბაგა-ბაღში მივედი. შესასვლელი კარი დაკეტილი დამხვდა. შუადღე იყო, შიგნიდან დიდი ჟრიამული ისმოდა. სამზარეულოს ფანჯრიდან შემამჩნიეს და, ვინ გნებავთო, გამომეხმაურნენ. მე აღმზრდელის გვარი ვუთხარი და ავუხსენი, კარი დაკეტილია და ვერ შემოვდივარ-მეთქი. შემოსვლა არ შეიძლება, აღმზრდელს შევატყობინებთ და ჩამოვაო. მაშინ შევხედე კარს და იქ გაკრულ დღის რეჟიმში წავიკითხე: უცხო პირთა და მშობელთა შესვლა აკრძალულია. ბავშვების მიღება 9 საათიდან 9-30 საათამდე, გაყვანა 18 საათიდან. ამასობაში აღმზრდელი გამოვიდა და მომიბოდიშა. მე კი მადლიერების გრძნობა დამეუფლა, რადგან მომენონა, ბავშვები ასეთი დაცულები რომ არიან გარეშეთაგან. ჩემი საუბარი **დედოფლისწყაროს მენიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორთან,** ქალბატონ მარია ყოჩიაშვილთან, სწორედ ამ ფაქტზე საუბრით დაიწყო, როდესაც მათ მიერ წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს ანგარიშისთვის ინტერვიუზე ვეწვიე.

— უკვე ოთხი წელია, ასეთ რეჟიმში ვმუშაობთ. ამით ვცდილობთ, ბავშვები დაცული და იზოლირებული იყვნენ ყოველგვარი ინფექციებისაგან. შიდა სანიტარული რეჟიმიც მკაცრად არის დაცული. 2 საათში ერთხელ დეზინფიცირდება და სრულად იწმინდება ბავშვთა საპირფარეშოები, დღის ბოლოს სპეციალური ხსნარით მუშავდება ბაგა-ბაღი სრულად. ექთანი მუნიციპალიტეტში არსებულ ჩვიდმეტივე ბაღში გვყავს. ქალაქის №2 ბაგა-ბაღში კი ექიმი- პედიატრიც მუშაობს. ყოველ დილით ექთანი ბავშვების ჯანმრთელობას და სანიტარულ მდგომარეობას ამოწმებს და დავირუსებული ბავშვები არ დაიშვებიან. სისტემატურად მოწმდება, აგრეთვე, სამზარეულოს პერსონალი, სადაც იდეალურადაა დაცული სისუფთავე. სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნით ჩვენ კახეთის რეგიონში ერთ-ერთი პირველები ვართ, — ამბობს ქალბატონი მაია.

— როგორია კვების რაციონი?

— კვება ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესანიშნავი სპეციალისტია ჩვენი კვების ტექნოლოგი ლალი ნატროშვილი, რომელიც სულ მისხალ-მისხალ ანგარიშობს კალორიულ შემადგენლობას და ისე ადგენს მენიუს, რომ ბავშვებს არ მოაკლდეთ არც ერთი კომპონენტი ჯანმრთელობისა და ზრდა-განვითარებისათვის. სამჯერად კვებას და ერთ წახემსებას მოიცავს ერთი დღე და ბავშვზე 3 ლარი და 30 თეთრი იხარჯება დღიურად. კვების რაციონში შედის კვირაში ორჯერ საქონლის ცოცხალი ხორცი, ერთხელ დარბილებული ქათამი, ყველი, არაჟანი, მაწონი, რძე, კვერცხი, ლობიო, კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბროკოლი, ყველანაირი ბოსტნეული, ხილი სეზონის მიხედვით, ჩირები და რომელი ერთი ჩამოვთვალო, როგორც გინდა უჭმელი ბავშვი იყოს, ისეთი მრავალფეროვანია არჩევანი, მშიერი არავინ დარჩება. რაც შეეხება წყალს, მის სანიტარულ მდგომარეობას ყოველწლიურად ვიკვლევთ სპეციალურ ლაბორატორიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სრულებით სანდოა. მომავალ წელს კვებას ემატება წითელი ბულგარული წიწაკა და თევზი. ქვეყნის მასშტაბით იგეგმება კვების კონსოლიდირებული სისტემა, რომელიც ცენტრალიზებულ მომარაგებას და კვების ერთნაირ მენიუს გულისხმობს. ეს ძალიან პროგრესული იქნება, რომელიც ფინანსების რაციონალურ ხარჯვამდე მიგვიყვანს. ჯერჯერობით, 2019 წლიდან მხოლოდ თელავსა და სამტრედიაში დაიტესტება ეს მიდგომა. მე მჯერა, რომ ტესტირება დადებითად შეფასდება და მთელი ქვეყნის ბაგა-ბაღები ამ სისტემაზე გადავალთ.

— 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, თქვენი დაფინანსება 340 ათასი ლარით გაიზარდა და 1.640 ათასი გახდა. რა შეიცვალა უკეთესობისკენ?

— ამ სისტემაში 2009 წლიდან დავიწყე მუშაობა. 2012 წლის 12 დეკემბერს დავინიშნე დირექტორად. ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლისთანავე სკოლამდელი აღზრდა პრიორიტეტად გამოცხადდა. ჩვენმა რაიონმა პირველმა აიღო ინიციატივა, მშობლები გადასახადისაგან გაენთავისუფლებინა. იმ დროიდან ყოველწლიურად უმჯობესდება მდგომარეობა ჩვენს ბაღებში: ჩატარდა კაპიტალური რემონტები, აღიჭურვა ახალი დგამ-ავეჯით, გაუმჯობესდა კვება. ამ ყველაფერში მხარში გვიდგას და დიდი წვლილი მიუძღვის ადგილობრივ ხელმძღვანელობას. მთელი ორგანიზაციის სახელით მინდა, მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს ნუგზარ პაპიაშვილს, რომლებიც ყოველწლიურად ცდილობენ, შეძლებისდაგვარად, ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდოს. 2018 წელს ჩვენ საშუალება მოგვეცა, ხელფასები გაგვეზარდა ყველა თანამშრომლისათვის, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ მცირე ხელფასის პირობებშიც და ახლა, მითუმეტეს, უფრო მოტივირებულნი არიან. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მათი ანაზღაურება უკვე მათი შრომის ადეკვატურია.

— რას იტყვით კადრების კვალიფიკაციაზე?

— ყველანაირად ვცდილობთ, რომ კადრი, ძირითადად, განათლებისა და პროფესიონალიზმის მიხედვით შევარჩიოთ, მაგრამ გვაქვს სუსტი წერტილებიც: საზღვრისპირა სოფლებში — ფიროსმანში, სამთაწყაროში, საბათლოში გვიჭირს უმაღლესი განათლების მქონე კადრის მოძიება. რაც შეეხება კვალიფიკაციას, ჩვენმა ორმა მეთოდისტმა სულ ახლახანს გაიარა ორკვირიანი ტრეინინგი და სერთიფიკატიც აიღო, მაგრამ, ზოგადად, კარგი იქნება, თუ განათლების სამინისტრო იზრუნებს ქვეყნის მასშტაბით კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი ტრენინგცენტრის დაარსებაზე სკოლამდელი აღზრდის კუთხით. ეს ძალიან წაადგება ჩვენს მუშაობას.

—მე ხშირად დავსწრებივარ სხვადასხვა ბაღში გამოსაშვებ თუ საახალწლო ზეიმებს და კარგი შთაბეჭდილებაც დამრჩენია. როგორ დგება წლის სამუშაო გეგმა?

— გამოსაშვები და საახალწლო ზეიმები ყოველწლიურ გეგმაში ზის და მათში მთელი წლის ნამუშევარი ვლინდება. კონკრეტული გეგმა, ბაღის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ყოველთვიურად დგება, ხოლო აღმზრდელი, თავის მხრივ, ყოველკვირეულ გეგმას ადგენს და იმის მიხდვით ატარებს მეცადინეობას. აქაც ჩვეულებრივ დგება გაკლვეთილების ცხრილი. წელიწადში ორჯერ, ყველა ჯგუფში ტარდება ღია მეცადინეობები, რომლის თემატიკასაც აღმზრდელი, მეთოდისტთან ერთად, შეიმუშავებს. ტარდება, აგრეთვე ინტეგრირებული და საგნობრივი ღია გაკვეთილები.

— 2019 წლის ბიუჯეტიც კვლავ გაგეზარდათ და უკვე 1.876 ათასი ლარი შეადგინა. რას გეგმავთ?

— როგორც ზემოთაც გითხარით, კვებას ორი კომპონენტი – თევზი და ბულგარული წითელი წიწაკა დაემატება. ზოგი ბაღის შენობა 5-6 წლის წინ გარემონტდა და უკვე ხელის შევლებას საჭიროებს, შეცვლა-განახლება სჭირდება სამზარეულოს აღჭურვილობას, ჭურჭელს, მაგიდებს, სკამებს. ყოველწლიურად ვყიდულობთ ახალ წიგნებს და ვამდიდრებთ ბიბლიოთეკებს, რომელიც ყველა ბაღს აქვს.

— ამ ბოლო დროს, საერთოდ, ძალიან გახშირდა ხანძრის შემთხვევები. როგორია თქვენი პრევენციული ღონისძიებები?

— ყველა ბაღში თვალსაჩინოდაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა. სრულ მზადყოფნაშია ცეცხლმაქრები და სხვა აღჭურვილობა. ბაღის ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია, როგორ უნდა მოიქცეს ექსტრემალურ სიტუაციაში.

ჩვენი საუბარი შეეხო, აგრეთვე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მუშაობას.

— სახლის დირექტორის თამარ ლაპიაშვილის ხელმძღვანელობით აქ ბევრი კარგი ღონისძიება გაიმართა მოსწავლეთა აღზრდისა და განათლების კუთხით. ისინი თავს არ ზოგავენ, მაგრამ, გულწრფელად გეტყვით, რომ, თუ გვინდა, უფრო მეტი გაკეთდეს, ჩემი აზრით, ისინი დამოუკიდებელ ორგანიზაციად უნდა ჩამოყალიბდნენ, რაც უფრო მეტი აქტიურობის და ინიციატივის საშუალებას გაუჩენს.

— რას იტყოდით წინასაახალწლოდ?

— კმაყოფილი ვარ, რომ მთელს ქვეყანაში და ჩემს რაიონშიც სკოლამდელი აღზრდა პრიორიტეტულია. ბედნიერი ვარ, იმით, რომ ამ ძალიან შრომატევად, მაგრამ სასიამოვნო საქმეს ვარ შეჭიდებული და ჩემი პატარა წვლილი შემაქვს ქვეყნის მყარი ფუნდამენტის შექმნაში, რადგან სწორედ აქედან იწყება სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოქალაქის ჩამოყალიბება. დეკემბრის ბოლოს ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა საახალწლო ზეიმები, ბავშვებმა მიიღეს საჩუქრები, იხალისეს და გაერთნენ. ამით დაიხურა 2018 წელი. დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს და მათ შორის ჩემს თანამშრომლებს, ჩვენი დიდი კოლექტივის თითოეულ წევრს, მშობლებს და ჩვენს საყვარელ ბავშვებს, რომელთა კეთილდღეობა ჩვენთვის უნდა იყოს უპირველესი.

ნაირა გორაშვილი

ყველგან ახალ წელს ელიან...

დიდი წინა საახალწლო ფუსფუსია დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებში, დღეში რამოდენიმე ღონისძიებას მართავენ. მშობლებითა და გულშემატკივრებით არის გადავსებული საბავშვო ბაღის შენობები. ამჯერად მესამე ბაგა-ბაღის 3-4 წლიანთა ჯგუფში ვართ პედაგოგ ნანა სეხნიაშვილის მიწვევით. ვინ მოთვლის, ეს მერამდენე საახალწლო ზეიმია ნანა მასწავლებლისთვის ამ ბაღში, მისთვის დამახასიათებელი ემოციით და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. აი, შემოდიან პატარა აღსაზრდელები მუსიკის ჰანგების ფონზე, ულამაზეს ფერებში მორთულ-მოკაზმულ დარბაზს და ნაძვისხეს უყურებენ განცვიფრებულები, თან მაყურებლებში თვალებით მშობლებს ეძებენ, რათა სანახაობით თავი მოაწონონ მათ. უეცრად ნანა მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას მისკენ გადაიტანს და მიმართავს:-ბავშვებო, მე დღეს მოგიყვებით ამბავს კეთილ კაცზე, რომელიც სიკეთეს თესდა ყველგანო. თხრობის შემდეგ დაიწყო სანახაობრივი ზღაპარი, სავსე ლამაზი ფერიებით, ფიფქიათი, მაშათი და წითელქუდათი. მგელი, ნიფნიფი, ნუფნუფი, ნაფნაფი, დათვი, მელია, ლომი, დევი, ტურა, ციყვი, ნაცარქექია, მამლაყინწა, რომელი ცხოველის თუ ფრინველის ფორმაში გამოწყობილ ბავშვს არ ნახავდით ამ პატარა სცენაზე. კინტოებიდან დაწყებული, სამეჯლისო ცეკვებით დამთავრებული, ყველა ცეკვა გვაჩვენეს პატარებმა, იმღერეს, საახალწლო ლექსები თქვეს და ძალიან ეცადნენ, რომ ყველაფერი ისე განეხორციელებინათ, როგორც ამეცადინებდათ მასწავლებელი ბოლო კვირების მანძილზე.

ღონისძიების დასასრულს თოვლის პაპას დაუძახეს ბავშვებმა, მანაც მოსვლა არ დააყოვნა და პატარებს ჯერ უცეკვა, უმღერა, შემდეგ უამრავი ტბილეულით დაასაჩუქრა ისინი.

ელზა ხარაშვილი

მოსახლეობის სოციალური დაცვა მნიშვნელოვანია

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღების შემდეგ, 2013 წლიდან, საქართველოში ჯანდაცვის ბიუჯეტი 2,5 ჯერ გაიზარდა, რამაც ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა ფუნდამენტურად გაზარდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მხოლოდ 2016 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 3 014 -მა ბენეფიციარმა ისარგებლა, რაზეც 734 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 676,5 ათასიდან 701 ათას ლარამდე გაიზარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ბიუჯეტი. დედოფლისწყაროში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საავადმყოფო, რომელიც უახლესი და ძვირადღირებული სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა; წელიწადში რამდენჯერმე, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, გამოცდილ ექიმთა ბრიგადა უფასო სამედიცინო კონსულტაციებს მართავს. ასევე, თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ მობილური ჯგუფი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამოკვლევებსა და ოპერაციებს ატარებს. სამედიცინო მომსახურება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „შირაქი“ ესტუმრა **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსს** ᲓᲝᲓᲝ ᲮᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

— როგორ შეაფასებდით 2018 წლის სოციალურ აქტივობებს, რა ღონისძიებები გატარდა ამ წელს?

— ჩვენ გვაქვს ყოველწლიურად მზარდი სტატისტიკა, ეს ეხება მოქალაქეთა მომართვიანობას და ჩვენს მიერ სოციალურ პაკეტში განერილ ბენეფიციართა რაოდენობას. რა იგულისხმება ამაში? ყოველწლიურად ჩვენ ვახორციელებთ ისეთ ღონისძიებებს, რომელიც ჩვენი მოქალაქეების სოციალურ ფონს ამსუბუქებს. 2018 წელს ჩვენ დავამატეთ აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა ერთჯერადი დახმარებები. ეს წინა წლებში არ გვქონდა და საჭიროებებიდან გამომდიინარე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ასეთ ბავშვებს მართლა ესაჭიროებათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა და გვერდში დგომა. ამიტომ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, მოხდა ჩვენს სოციალურ პაკეტში ერთი ასეთი პუნქტის დამატება, ეს არის დახმარება 500 ლარის ოდენობით. ამ თანხას ვურიცხავთ მათ მშობლებს ანგარიშზე. ეს ერთჯერადი თანხა გამოყოფილია მათი საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად. მუნიციპალიტეტს რაც შეუძლია, მაქსიმალურად გვერდში უდგას ასეთ ბავშვებს. ჩვენ, წლებია, გვაქვს ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე დახმარება განსაზღვრულ ბენეფიციარებზე. ესენი არიან: მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ოჯახები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილთა ოჯახები. ჩვენ მათ ვაძლევდით ყოველთვე 13 და 17 ლარს, ბუნებრივი აირის ან ელექტროენერგიის საფასურის გადასხდელად, 2018 წელს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ეს თანხები გავზარდეთ 18-ისა და 22 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა მიზნობრივ ჯგუფებს, ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვიღებთ მოქალაქეთა განცხადებებს. 2018 წლის საბოლოო შედეგები ჯერ არ არის დადებული, მაგრამ სავარაუდო მონაცემები უკვე ვიცით, მთლიანად შემოსულია 1740 განცხადება, აქედან 800 განცხადება არის ზამთრის სეზონზე გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსების შესახებ. აქაც გათვალისწინებული გვაქვს კონკრეტულად მიზნობრივი ჯგუფები, ძირითადად, ისევ ზემოთ აღნიშნული კატეგორიები. დანარჩენი 940 განცხადება მიღებული გვაქვს, თუკი სხვა რაიმე ბენეფიტი დაგვრჩა ჩვენს სოციალურ პაკეტში .ეს განცხადებები განისაზღვრება სტაციონარული მომსახურების დაფინანსების კუთხით, ახალშობილებზე, ჰემოდიალიზზე, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილების ოჯახებზე, ვეტერანებზე, უპატრონო მიცვალებულებზე, ბინის ქირებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე, აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა ოჯახებზე, ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე. გვაქვს კიდევ ახალშობილთა ოჯახების წამახალისებელი ღონისძიება - ყველა შვილზე ერთჯერადად სამასი ლარის ოდენობით. ჰემოდიალიზზე მყოფ მოქალაქეებს ყოველთვიურად ვაძლევთ 100 ლარს. გვაქვს ერთჯერადი დახმარებებიც ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ოჯახებისათვის, მათ ერთჯერადად ვაძლევთ 1000 ლარს. კიდევ გვაქვს მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება, ეს დახმარება გულისხმობს 4 და 4-ზე მეტი შვილის ყოლას.

მინდა გითხრათ, რომ როდესაც ადამიანი შემოდის და მე შემიძლია მისი დახმარება, სიხარულით მეცხრე ცაზე ვარ. გაგვიკეთებია ისეთი რაღაცეები, რაც ჩვენც გვიხარია და ადგილობრივ მოსახლეობასაც ვახარებთ. ჩვენ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს რამდენიმე არასამთავრობოსთან. ერთ-ერთი არის წითელი ჯვრის ორგანიზაცია. ისინი მრავალშვილიან ოჯახებს ტანსაცმლით არაერთხელ დაეხმარნენ. არის კიდევ ერთი ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის“, რომლისგანაც ჩვენ აქტიურად ვმარაგდებით ინვალიდის ეტლებით.

— რას ისურვებდით 2019 წელს?

— ჩემი 2019 წლის სურვილი არის ძალიან გლობალური. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ცხოვრება ისე იყოს აწყობილი, რომ აღარ სჭირდებოდეს და, საერთოდაც, აღარ არსებობდეს სოციალური სამსახურები. მეორე სურვილი ის იქნება, რომ, თუკი მაინც იარსებებს სოციალური სამსახური, მისი სოციალური პაკეტი და მომსახურება ისეთი იყოს, რომ მოსახლოების ფართო მასები მოვიცვათ ჩვენი დახმარებით, რომ მათაც რეალურად შევუმსუბუქოთ თავიანთი სოციალური მდგომარეობა.

ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ა(ა)იპ სათნოების სახლი, სადაც იკვებება ყოველდღიურად 250 ბენეფიციარი. იკვებება ძალიან ხარისხიანი პროდუქტით და ყოველ წელიწადს საახალწლოდ იღებენ საჩუქრებს. ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მხრიდან არის ძალიან დიდი მხარდაჭერა, ვინაიდან გვყავს ისეთი ბენეფიციარები, ვისაც ჩვენი გვერდში დგომა სჭირდებათ. ისინი კვირაში ექვსი დღე იკვებებიან.

გაზეთი „შირაქი“ ესტუმრა სათნოების სახლს, სადაც საახალწლო საჩუქრების გადაცემის პროცესს დაესწრო და იქვე გაესაუბრა ბენეფიციარებს.

ᲚᲐᲚᲘ ᲤᲐᲕᲚᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: რაც სათნოების სახლი დაარსდა, მე მიმიღეს და დავდივარ იმის მერე, ძალიან კმაყოფილი ვარ და გახარებული ვარ საჩუქრებით.

ᲜᲘᲜᲐ ᲧᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ყველაფრისთვის დიდი მადლობა, მოხუცების დაფასებისათვის, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ და ჩემი წლოვანებისა გაგხადოთ, აპრილში 94 წლის ვხდები. ჩემი ენერგია და ხალისი გქონოდეთ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲯᲬᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - დიდ მადლობას მოგიხდით ყურადღებისთვის, დიდი მადლობა ჩვენს მერს ნიკა ჯანიაშვილს, შეხედეთ, როგორი ოთახი გვაქვს, ლამაზი, თბილი. საჭმელიც კარგი გვაქვს, ახალი ხორცი და სხვა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის **მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი** და საკრებულოს **თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი** ეწვივნენ სათნოების სახლს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ბენეფიციარებს დამდეგი შობა- ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათი გადასცეს.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲯᲬᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: —ეს არის ტრადიციული აქცია, ყოველ ახალ წელს და აღდგომის მოახლოებას ჩვენს ბენეფიციარებს ვულოცავთ-ხოლმე და მიხარია ძალიან, რომ ხალხმრავლობაა. ვცდილობთ, რომ ცხოვრება გავულამაზოთ მცირედი საჩუქრებით. სათნოების სახლის ყველა ბენეფიციარს მინდა მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი და, პირველ რიგში, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა ვუსურვო. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს მივულოცავ ახალი - 2019 წლის მობრძანებას.

ᲘᲜᲔᲡᲐ ᲐᲛᲑᲐᲠᲘᲐᲜᲘ

საჩუქრები სოციალურად დაუცველებს

წითელი ჯვრის საზოგადოებისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი საქველმოქმედო პროექტის ფარგლებში, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან და არასრულწლოვანი შშმ პირების ოჯახებს საკვები პროდუქტები გადაეცათ. საჩუქრები ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრებ მოქალაქეებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის თანამშრომლებთან ერთად სახლში პირადად მიუტანა და დამდეგი შობა -ახალი წელი მიულოცა. საქველმოქმედო აქციით გათვალისწინებულ საკვებ პროდუქტებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყველა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი და არასრულწლოვანი შშმ პირის ოჯახი მიიღებს.



ახალგაზრდობა — იმედი ხვალის

დიდი ყურადღება ექცევა სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარებას. განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, კინოსტუდია“ ქართული ფილმისგან“ გამოისყიდეს კინოთეატრის შენობა, რომლის რეაბილიტაციის შედეგად მუნიციპალიტეტმა მიიღო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტის ცენტრი. როგორცდედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა აკაკი ნატროშვილმა განაცხადა, 2018 წელი ძალიან დატვირთული იყო სპორტული მოვლენებითა და ახალგაზრდული ღონისძიებებით.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტში არაერთი სპორტული ობიექტი აშენდა და რეაბილიტირდა. ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი სპორტული მოედნები მოეწყო.

არხილოსკალოში დახურული საჭიდაო არენა მოეწყო, რომელმაც უკვე უმასპინძლა რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირს. დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი მუნიციპალიტეტის სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებში, მათ ნებისმიერ წამოწყებას მხარს უჭერს ადგილობრივი ხელისუფლება. ლელა ბიღიაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სპეციალისტი: „წელს ახალგაზრდების ჩართულობით უამრავი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. ყველაზე მეტად კი გამოვარჩევდი „ახალგაზრდული ცენტრის“ პროექტს, რომელიც „ჰექს ეპერმა“ დააფინანსა და რომლის საზეიმო გახსნაც 2019 წელს მოხდება. ეს იქნება ცენტრი, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან, ისაუბრებენ და ნებისმიერი წამოწყების ორგანიზებასაც თავად მოახდენენ“.



საახალწლო განწყობა დედოფლისწყაროში

ტრადიციულად, წინასაახალწლო დღეებში კულტურის სახლმა სცენაზე საშობაო ზღაპარი წარმოადგინა. ტრადიციულმა ქართულმა თოვლის პაპამ და ზღაპრის გმირებმა პატარები ძალზე გაახარა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გამართულ საახალწლო ღონისძიებას დაესწრო.

კონცერტში ადგილობრივი საბავშვო ანსამბლები და შემსრულებლები მონაწილეობდნენ. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელმა ნონა ჯიბღაშვილმა.

ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე, მთავარ ნაძვისხესთან 30 დეკემბერს საახალწლო გალა-კონცერტი გაიმართა. ღია ცის ქვეშ შეკრებილი დედოფლისწყაროელების საახალწლო განწყობაზე ჯგუფმა „ბანმა“, თიკა ჯამბურიამ, მარიკა თხელიძემ და საღამოს წამყვანმა თამუნა გომართელმა იზრუნეს, რომელთაც სადღესასწაულო მხიარულების შემოსატანად ენერგია არ დაიშურეს. სიცივის მიუხედავად, ახალგაზრდების ნაწილი მუსიკის რიტმებს აჰყვა და დაბალ ტემპერატურასთან გამკლავება ცეკვით სცადა.

ღონისძიებაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მაყურებელს სიტყვით მიმართა და დამდეგი 2019 წელი მიულოცა. „ამ მოედანზე საახალწლოდ გამოსული უფრო მეტი მაყურებელიც გვახსოვს, მაგრამ, ეტყობა სიცივემ შეგვაშინა... მაგრამ მოდით მაინც ყველამ ერთად, ერთიანი შეძახილით ყველამ ერთად მივულოცოთ დედოფლისწყაროს 2019 წელი. გილოცავთ, მეგობრებო!.. ჯანმრთელობის, ბედნიერების, ხვავის, ბარაქის და ყველაფრის საუკეთესოს მომტანი ყოფილიყოს როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, ისე მთელი საქართველოსთვის,“ – აღნიშნა მერმა.

საღამო გრანდიოზული ფეირვერკით დასრულდა.

წლის სპორტსმენები—ლაშა ბექაური (ჭიდაობა); ლევან წიკლაური (კრივი)

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ტრადიციას არ ღალატობს და წარმატებული ადამიანების გამოვლენას განაგრძობს. 2018 წლის სპორტული ცხოვრების ანალიზის შედეგად წლის საუკეთესო სპორტსმენებს ვასახელებთ. ახალგაზრდა არხილოსკალოელი სპორტსმენისთვის **ლაშა ბექაურისთვის** 2018 წელიც წარმატებული აღმოჩნდა. ის კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ამჯერად ბაჰამის კუნძულებზე. ერთი წლით ადრე ის მსოფლიო ჩემპიონი ჩილეშიც გახდა. თუმცა, წინა წლისგან განსხვავებით ლაშამ წარმატებები ამჯერად უფროსი ასაკის კატეგორიაში მიაღწია. „შირაქის“ კითხვაზე, დაასახელოს მისთვის საუკეთესო წელი, მისი პასუხია – 2018.

„ამ წელს უფრო წარმატებულად მივიჩნევ, რადგან ახლა უფროსი ასაკის კატეგორიაში ვასპარეზობდი. ალბათ ამ კატეგორიასა და წონაში გადასვლას თავისი ემოციაც ახლდა და რაკი პირველი წელი იყო, ამიტომ კიდევ უფრო კმაყოფილი ვარ. ეს წელი დაუვიწყარი იქნება იმითაც, რომ ბაჰამის კუნძულზე სასურველი შედეგი დავდე. თანაც, ყველა იმ ქვეყანაში უკვე ვიყავი, რომელზეც ვოცნებობდი. ზაფხულის ცხელი დღეები წარმოუდგენლად ლამაზ ოკეანის სანაპიროზე გავატარე, რამაც ჩემი გამარჯვება კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა. ამიერიდან სხვა საფეხურზე გადავედი და უკვე დიდებში ვიასპარეზებ,“ – აღნიშნავს ლაშა ბექაური. ის წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოვებაზე თბილისშიც დაასახელეს. ჯილდო მას ძიუდოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა დანიელ ლასკაუმ გადასცა, სულ მალე მას ფულადი პრემიაც გადაეცემა.

წარმატებული წელი იყო **ლევან წიკლაურისთვისაც.** მან რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთსა და დანიაში. 2018-ს საუკეთესო წლად მიიჩნევს დედოფლისწყაროელი მოკრივე ლევან წიკლაურიც. თუმცა, იქვე იმასაც დასძენს, რომ მისთვის ყველაზე საუკეთესო წელი ჯერ არ დამდგარა. ის კიკბოქსინგის კლუბ „ჩემპიონში“ გაიზარდა, თუმცა გადაწყვიტა ძალები კრივშიც მოსინჯოს.

„ყველაზე ფასეული წელი ახლა მქონდა. მართალია, წინა წლებშიც ბევრს მივაღწიე, ის გზა რომ არ გამევლო და კონკრეტული შედეგები არ მქონოდა, დღემდე ვერ მოვიდოდი. მაგრამ, განვლილ გზას თუ გადავხედავ, ყველაზე წარმატებული 2018 წელი იყო... ახლა ყველაზე წინ ვარ სარეიტინგო ქულების მიხედვით და ყველაზე ახლოს მიზნებთან. სხვა წლებისგან განსხვავებით, წელს კრივმა საკმაოდ დიდი ფინანსური სარგებელიც მომიტანა, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და დამატებითი მოტივაცია მქონდა,“ – ამბობს ლევან წიკლაური.

ილია მარტყოფლიშვილი

გვილოცავენ!

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, ჩემო ქიზიყელებო, ხალხო მხნევ და შეუდრეკელო, გილოცავთ 2019 წლის შემობრძანებას და ბრწყინვალე შობას უფლისას. იყავით ბედნიერები, ხვავი და ბარაქა არ მოაკლდეს თქვენს მადლიან მიწას. მე ძალიან ვაფასებ ჩვენს ურთიერთანამშრომლობას – ჩვენი თეატრის ბევრი ცნობილი მომღერალი სტუმროს თქვენს რაიონს და თქვენი ნარმატებული და რჩეული ნომინანტებიც ხშირად არიან ჩვენი სტუმრები. ჩვენ ყველა ერთად ბედნიერები ვართ, რომ თქვენმა მხარემ საოპერო ხელოვნებას აჩუქა გენიალური მსოფლიო ბარიტონი ლადო ათანელიშვილი, რომლის კვალზეც მიდის მისი ვაჟი ილია ათანელიშვილი. კვლავაც სიცოცხლეს, ჯანმთელობას და წარმატებებს გისურვებთ.

პატივისცემით, ბადრი მაისურაძე,
თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ჩვენ ვზრუნავთ მომხმარებლის განწყობაზე!

ასეთი იყო იმ ღონისძიების სლოგანი, რომელიც დედოფლისწყაროს ბაზრის მიმდებარედ, მაღაზია „ბეკოს“ რიგში ბოლო ბუტიკის, რომელიც თეთრეულისა და ტექსტილის მრავალფეროვანი პროდუქციით ამარაგებს დედოფლისწყაროელებს, დამფუძნებელმა შესთავაზა თავის ერთგულ მომხმარებელს. ია ლაპიაშვილმა წინასაახალწლოდ ლატარია შესთავაზა იმ ადამიანებს, რომლებიც მისი მაღაზიის ხშირი სტუმრები არიან.ლატარიის პრინციპი მარტივი იყო- ვინც დეკემბრის თვეში 50 ლარის ღირებულების პროდუქციას შეიძენდა, ლატარიის ბილეთის მფლობელიც გახდებოდა და გათამაშების მონაწილეც.

გათამაშება 28 დეკემბერს გაიმართა და სამი იღბლიანი გამოავლინა, რომელთაც საოჯახო ნივთები ხვდათ წილად.

ქეთი ყაჭაშვილი, გათამაშების გამარჯვებული: მადლობა იას, რომ ზრუნავს ჩვენი განწყობის ამაღლებაზე და ახლაც ასეთი მშვენიერი სიურპრიზი მოგვიმზადა წინასაახალწლოდ. წარმატებებს ვუსურვებთ მას თავის საქმიანობაში“.

ქალბატონმა იამ არც სხვა მონაწილეები დატოვა ხელცარიელი-ყველა მათგანს სიმბოლური საჩუქარი გადასცა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. როგორც ია ლაპიაშვილმა განაცხადა, უახლოეს მომავალში ის თავის ერთგულ მომხმარებელს კიდევ ბევრ სიურპრიზს შესთავაზებს.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 31.12	სამშაბათი 01.01	ოთხშაბათი 02.01	ხუთშაბათი 03.01	პარასკევი 04.01	შაბათი 05.01	კვირა 06.01
დღე	3°	4°	3°	3°	6°	5°	5°
ღამე	–1°	0°	0°	1°	3°	3°	-1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.